# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 10 ოქტომბერი 2008 №234 (3458) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაგიჩი კილიაკაშვილის ფოტო

# დღეს კუპერი დაგვენახვება

## ყენია-მჭედლიძე: პრობლემა მორჩა!

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე კვიპროსი უკვე თბილისშია, ჩვენი ეროვნული გუნდი კი აგრძელებს საგურამოს ბაზაზე ორჯერად ვარჯიშებს. გუშინდელი წვრთნებიც დახურული იყო ჟურნალისტებისთვის, დღეს კი 16.30 საათზე „ეროვნულზე" ათი წუთით მოგვეცემა საშუალება, ჩვენი ნაკრების ვარჯიშის შევავლოთ თვალი.

დღეს დილით, 09.30 საათზე ექტორ რაულ კუპერს „ეროვნულზე" პრესკონფერენცია უნდა გაემართა, მაგრამ არგენტინელმა გეგმები შეცვალა: პრესკონფერენცია 16 საათზე იქნება, ვარჯიში კი 16.30 საათზე.

რაც შეეხება გუშინდელ დღეს — რაც მთავარია, ყველა ფეხბურთელი სრულად დაიტვირთა. ლევან ყენიასაც არანაირი პრობლემა აღარ შექმნია — ფეხი უკვე მოირჩინა. მცირე პრობლემა ჰქონდა მუხლთან დაკავშირებით ლევან მჭედლიძეს, მაგრამ, საბედნიეროდ, სურათის გადაღების შემდეგ გაირკვა, რომ ყველაფერი წესრიგშია.

კვიპროსთან მატჩი ახლოვდება და კუპერმაც, რა თქმა უნდა, ფიზიკური დატვირთვები შეამცირა. დილის ვარჯიში უფრო სახალისო იყო — ორმა 10-10-ფეხბურთელიანმა გუნდმა ხელბურთი ითამაშა, ოღონდ კარში თავით უნდა გაეტანათ გოლი. მერე კი ორკარაც გაახალეს...

საღამოს ვარჯიში უფრო საინტერესო გამოდგა — მცველები კუპერმა გაიხმო, შემტევები კი თანაშემწე ხოსე ფანტაგუსს მიაბარა და ტაქტიკაზე ამუშავა.

ნავარჯიშევს ექტორ რაულ კუპერი ფეხბურთელების ვარჯით კმაყოფილი დარჩენილა. ვნახოთ, რა განწყობაზე იქნება არგენტინელი კვიპროსთან ნამატჩევს...

**ნუკრი ლოლაძე**



კვიპროსელთა გუშინდელ ვარჯიშში მწვრთნელი ანგელოს ანასტასიადისიც აქტიურად მონაწილეობდა

გაგიჩი კილიაკაშვილის ფოტო

# ქეცბაიამ ნიუკასლი უარით გაისტუმრა

## ანორთოსისის ქართველი თავკაცი თბილისშია



### ხვალინდელ სარბიელში:

# საქართველოს მეტი შეუძლია!

## დანიელე დე როსი საქართველოზე, კუპერზე, კალაძეზე, მჭედლიძესა და ბევრ სხვა საინტერესო თემაზე




მაია ჯიქიავას ექსკლუზიური ინტერვიუ იტალიის ნაკრებისა და „რომას" ვარსკვლავთან

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ის გრანდში არ მუშაობს, მაგრამ მისი გუნდი წლეულს გრანდივით თამაშობს. მას ჯერ არ აქვს მსოფლიო მასშტაბით დიდი მწვრთნელის სახელი, მაგრამ უკვე იცნობს მთელი ევროპა, როგორც ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სპეციალისტს — ჩვეულებრივი მწვრთნელი კვიპროსულ „ანორთოსისს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გაიყვანდა და იქ ორ თამაშში ოთხ ქულას ვერ აალებინებდა.

არიან კლუბები, რომელთა წარმატების მთავარსარდლად ან პრეზიდენტს ასახელებენ, ან ფინანსებს, ანაც რომელიმე ერთი ვარსკლავი ფეხბურთელის გაბრწყინებას. მაგრამ მთელმა კვიპროსმა და ჩვენც ვიცით, რომ „ანორთოსისი" თემურ ქეცბაიას გაკეთებული გუნდია.

ისტორიაში პირველად გააღწია კვიპროსულმა გუნდმა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე, იქ კი, ყველა ხედავს, რა ბრძოლას უმართავს ძლიერ მეტოქეებს: „ანორთოსისის" თამაში კვიპროსელთათვის ახდენილი ზღაპარია.

კვიპროსული ზღაპრის გმირი გუშინ შუადღით კვიპროსის ნაკრებთან ერთად ჩამოფრინდა თბილისში: აბა, ისე როგორ იქნებოდა, საქართველო — კვიპროსის მატჩი არ ენახა.

თემურ ქეცბაიას გუშინ საღამოს ველაპარაკეთ...



# ქეცბაიამ ნიუკასლი უარით გაისტუმრა

## ჯერ ანორთოსისი ბოლომდე უნდა მივიყვანო

— ეჭვი არც გვეპარებოდა, რომ 11 ოქტომბრის მატჩს არ გააცდენდით...

— დიახ, სანაკრებო მატჩების გამო კლუბში შესვენებაა, თამაშს ვუყურებ და კვირა დილით გავფრინდები კვიპროსზე.

— რას ელით ამ მატჩში, კვიპროსის ნაკრებს შეუძლია „ანორთოსისის" მსგავსი სიურპრიზის მოხდენა?

— კვიპროსის ნაკრები რომ ხელწამოსაკრავი არ არის, ეს იტალიასთან მატჩშიც დაამტკიცა. მათ წინა შესარჩევ ციკლშიც მშვენივრად ითამაშეს და ბლომად ქულები აიღეს. საქართველოს ნაკრები მაქსიმალური სერიოზულობით უნდა მიუდგეს ამ თამაშს, თორემ სხვანაირად კარგი არაფერი გამოვა.

— კვიპროსის ნაკრების თამაშში ყველაზე მეტად რა არის გამოსარჩევი?

— ძლიერი ნახევარდაცვა და თავდასხმა ჰყავთ. აგრესიული, სწრაფი შეტევები აქვთ. კვიპროსს ნებისმიერი ნაკრების ანერვიულება შეუძლია. შარშანწინ ირლანდიას სულაც 5:2 მოუგო. ანუ, შეიძლება, ძლიერთან იმარჯვონ, სუსტთან კი წააგონ — საქართველოს ნაკრებიც ასეა.

— „ანორთოსისზე" რას იტყვით, რას მივაწეროთ ამ კლუბის ფანტასტიკური პროგრესი? ლიგის ჯგუფის ეტაპზე გასვლა რომ შემთხვევითობა არ ყოფილა, ეს უკვე დაამტკიცეთ...

— ეტაპობრივი და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია, რაც ხდება. „ანორთოსისი" ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში სულ პროგრესირებდა, ევროტურნირებზე არც შარშან და შარშანწინ გამოვსულვართ ცუდად, წლეულს კი უფრო ძლიერი გუნდი გვყავს და შედეგიც მოვიდა. იღბალიც ბევრს ნიშნავს: კი, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ავსტრიულ „რაპიდზე" ძლიერი გუნდი ცოტა იყო, მაგრამ მესამეში შეიძლებოდა „ბარსელონა" ან „არსენალი" შეგვხვედროდა. „ოლიმპიაკოსი" შეგვხვდა და საბედნიეროდ, შანსი გამოვიყენეთ.

— **არც „ოლიმპიაკოსია" სუსტი და არც „პანათინაიკოსი", მაგრამ თქვენს გუნდთან უშანსოდ წააგეს...**

— კიდევ ვამბობ, ეს დიდი შრომის შედეგია. მთელ ევროპას დავანახეთ, რომ ძლიერი გუნდი გვყავს. ყველა მატჩში მაქსიმალური მონდომება და კონცენტრაცია ჩააქსოვეს ჩემმა ფეხბურთელებმა.

— ჯგუფში „ანორთოსისი" პირველ-მეორე ადგილებზეა და რამდენად რეალურია, რომ ეს ადგილი ბოლომდე შეინარჩუნოთ?

— საამისოდ „ინტერთან" და „ვერდერთან" საშინაო მატჩებიდან მინიმუმ ერთი მაინც უნდა მოვიგოთ. რეალურად როგორ გითხრათ, დრო გვაჩვენებს, მაგრამ მერვედფინალში გასვლისთვის ბრძოლას ვაპირებთ. ძალიან საინტერესო თამაშს ველი „ინტერთან" — მომდევნო ტურში სწორედ მას ვხვდებით და...

— „ინტერთან" შეძლებს „ანორთოსისი" ტოლ-სწორად თამაშს? რაც უნდა იყოს, ამხელა გრანდთან ჯერ არ გითამაშიათ...

— „ინტერი" ჩვენი ჯგუფის კი არა, მთლიანად ლიგის ერთ-ერთი ფავორიტია. გუნდი გუნდადაც ძლიერია და ფეხბურთელებიც ისეთი ჰყავს, მარტოს რომ შეუძლიათ თამაშის ბედის გადაწყვეტა. თუმცა „ანორთოსისის" მიზანი ნებისმიერ მატჩში ბოლომდე ბრძოლაა.

— ორიოდ დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თემურ ქეცბაია შეიძლება „ნიუკასლის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს. რას იტყვით?

— იყო რაღაც საუბრები, მაგრამ მეტი არაფერი. „ნიუკასლს" მალე მფლობელი უნდა შეეცვალოს, ახლანდელმა მფლობელებმა კი თქვეს, ისეთ მწვრთნელს ვეძებთ, რომელიც 6 თამაშით გაუძღვება გუნდს, რადგან ხანგრძლივად კონტრაქტს ჯერ ვერავის გავუფორმებთო. მოკლედ, „ნიუკასლი" იყიდება და ვინ იცის, მყიდველს რომელი მწვრთნელი მოუნდება. დამიკავშირდნენ, დაინტერესებული თუ ხარ აქ გადმოსვლითო, მაგრამ უარი ვთქვი — ასეთი პირობებით, ანუ მხოლოდ 6 თამაშით არ მაწყობდა.

— და თუნდაც ხანგრძლივი კონტრაქტი ყოფილიყო, წახვიდოდით „ანორთოსისიდან"?

— ალბათ, არა. „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, თანაც, კარგად და მინდა, რომ ეს სეზონი ბოლომდე მივიყვანო.

**ილია ნანობაშვილი**

# მიდით და მოითხოვეთ!

## სფფ-მ მოლარეებს თითი დაუქნია

**გუშინდელ** „სარბიელში" გვეწერა, ეროვნულ სტადიონზე კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებისთვის ბილეთების საყიდლად მისულ ჩვენს ჟურნალისტს პრობლემა რომ შეექმნა: ორივე მატჩისთვის ერთსა და იმავე ადგილზე სურდა ბილეთების ყიდვა, რაც ძლივს მოახერხა და ეს მოლარის სიზარმაცეს მიაწერა — ბილეთების შეკვრების გადარჩევას და მოთხოვნილი სექტორისა და რიგის ბილეთის მოძებნას ცოტაოდენი დრო სჭირდება.

არადა, დაგვეთანხმებით, უამრავ გულშემატკივარს აქვს, ასე ვთქვათ, ამოჩემებული ადგილი და მყიდველის თხოვნა, ამა და ამ სექტორის და რიგის ბილეთები მინდაო, ჩვეულებრივი ამბავია.

იმავე წერილში ჟურნალისტმა ისიც აღნიშნა, სალარო მცირე დაგვიანებით გაიხსნაო, თუმცა ამას არც გამოდავებია. წერილის მიზანი ზემოთ ნახსენები ამბის მოყოლა იყო.

გუშინ კი რედაქციაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს საერთო განყოფილების უფროსი რევაზ შენგელია შემოგვეხმიანა, რაკი ნაკრების მატჩებისთვის ბილეთების რეალიზაციის საქმეს სწორედ ის კურირებს.

„თქვენმა სტატიამ ძალიან შემაწუხა — გვითხრა რევაზ შენგელიამ — ბულგარეთთან მატჩისთვის სასურველ ადგილას ბილეთის შეძენასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებზე ვერაფერს გეტყვით. სამწუხაროა, თუ ამგვარი რამ მოხდა და დღეს დილას, გაზეთის წაკითხვის შემდეგ მოლარეებს მკაცრი მითითებაც მივეცი. რაც შეეხება სალაროების გახსნის დროს, ვერ დაგეთანხმებით. სტადიონზე ბილეთები თერთმეტის ნახევრისთვის მივიტანეთ და სალაროებში მათ განაწილებას მაშინვე შევუდექით. თერთმეტი საათისთვის ერთის გარდა, ყველა სალარო გახსნილი იყო. ამასთანავე, თითოეულ სალაროსთან გაკრულია განცხადება, იმ კონკრეტულ სალაროში რომელი სექტორის და რა ფასიანი ბილეთების ყიდვაა შესაძლებელი."

რევაზ შენგელიასთან წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობა მისი ნათქვამის სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს არ გვაძლევს და გუშინდელ წერილში მისი მისამართით სასაყვედუროც არაფერი გვითქვამს. ხოლო იმ კონკრეტულ ფაქტზე, რომლის უშუალო მონაწილეც ჩვენი ჟურნალისტი შეიქნა, შენგელია, ბუნებრივია, პასუხისმგებელი ვერ იქნება.

**გიორგი დარჯანია**

# ბერბატოვი ბუფონმა გაახარა

**ბულგარეთის** ნაკრებისა და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდ დიმიტარ ბერბატოვს იტალიასთან შესარჩევ მატჩში გამარჯვების დიდი იმედი აქვს.

„ჯანლუიჯი ბუფონის არყოფნით გახარებული ვარ. ჯიჯი იტალიის ნაკრების თილისმა და მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა. ჩვენ, უბრალოდ, გაგვიმართლა, რომ ის სოფიაში ვერ ითამაშებს" — ამბობს ბერბატოვი, რომელიც იმავდროულად გაკვირვებულია „სკუადრა აძურას" თავკაც მარჩელო ლიპის არჩევანით — „იტალიელთა თავდასხმაში დელ პიეროს და ტონის ველოდი. ჯუზეპე როსი, რა თქმა უნდა, კარგი ფეხბურთელია, თუმცა ახალგაზრდაა. იტალიასთან ურთიერთშეხვედრების მაჩვენებლის შეცვლის შესანიშნავი შანსი გვაქვს. მოწინააღმდეგეს ბევრი პრობლემა აქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ".

ბულგარეთის ნაკრები იტალიას 11 ოქტომბერს უმასპინძლებს, 15-ში კი თბილისში საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდება.

**ბახა შალამბერიძე**

### ესპანეთი

კოპა დელ რეი

ელჩე 1:1დ.დ. (4:3პ, 0:0) ტენერიფე

### ინგლისი

კონფერენელსგია

ტორკი 1:1 ოძსფორდი

### ბრაზილია

სერია A

ფიგუერენსე 0:0 პალმეირასი

გრემიო 2:0 სანტოსი

რესიფე 2:2 ვასკო

### კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგა

პუბლიკი 1:4 მონრეალი

ლაგუნა 3:0 პუერტო რიკო

ოლიმპია 1:1 ატლანტი

მუნისიპალი 2:2 ტაურო

### ევროპის 2009 წლის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

ჰოლანდია 4:1 ლიტვა

გერმანია 3:0 ლუქსემბურგი

### პოლონეთი

ლიგის თასი

ვისლა 2:0 კრაკოვია

### ამხანაგური მატჩები

ინგოლშტადტი 1:0 ბაიერნი

იაპონია 1:1 საამიროები

შალკე 1:0 ჰერაკლესი

ტილბურგი 0:1 სერკლი

გრასჰოპერი 2:0 თუნი

სპარტა 2:1 ვესტერლო

იანგ ბოისი 1:1 კიოლნი

ვატენშაიდი 1:4 ბოხუმი

ჰერტა — ლეხი გადაიდო

# ნაკრებში თამაში უკვე პრემიაა

ხვალ საქართველოში ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ჩამოვა, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთის სახლის სხვა ოფიციალური პირებიც ჩამოჰყვებიან. საპატიო სტუმრები საგურამოს ახალ ტექნიკურ ცენტრს საზეიმოდ გახსნიან, პრესკონფერენციას გამართავენ და საქართველო — კვიპროსის მატჩსაც დაესწრებიან. თამაშის დაწყების წინ ბლატერი მინდორზე მიესალმება ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს, პლუს ოფიციალურ მიმართვას გააკეთებს საზოგადოებისადმი. თავისთავად დიდი მოვლენაა ფიფას პრეზიდენტის ვიზიტი, ჩვენი ფიქრები კი ბლატერის სტუმრობაზე არანაკლებ, უფრო მოახლოებულ ორ თამაშს დასტრიალებს. როგორი მზადყოფნით ხვდება ნაკრები კვიპროს-ბულგარეთთან შეხვედრებს. ამაზე სხვა წერილში ვიტყვით, ახლა კი ის ვთქვათ, როგორი მზადყოფნით ხვდება ამ მატჩებს ეროვნული სტადიონი. გუშინ შუადღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი „ეროვნულის" დირექტორ ირაკლი მეძმარიაშვილს შეხვდა, დაათვალიერა მინდორი, ტრიბუნები... ახალკაცს მოახლოებულ მატჩებზე და სხვა საკითხებზეც ვკითხეთ...



## ახალკაცმა სტადიონი დაათვალიერა

— დღეს სტადიონზე თქვენი მოსვლის მიზეზი რა არის?

— პირველი საშინაო მატჩები გველის ამ ციკლში და სტადიონის მზადყოფნა შევამოწმე. კარგია, რომ მინდორიც იდეალურ მდგომარეობაშია და ტრიბუნებიც. მშვენიერი ამინდებია და იმედია, ამ დღეებშიც ასე იქნება, რაც გულშემატკივარს მრავლად მოიყვანს სტადიონზე. იმედი მაქვს, ტრიბუნები ბოლომდე თუ არ შეივსება, 40-45 ათასი კაცი მაინც მოვა. ეს კი დამატებითი სტიმულ იქნება ნაკრებისთვის — მეთორმეტე ფეხბურთელი დიდ როლს შეასრულებს. როგორც ვიცი, ბილეთები უკვე მრავლად იყიდება.

— ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის კვიპროს-ბულგარეთთან მატჩებში პრემიალურები ხომ არ არის დაწესებული?

— არა, კონკრეტულად ამ მატჩებისთვის არ დაგვიწესებია. პრემიალურები უფრო ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი. ეროვნულ ნაკრებში თამაში — ეს უკვე დიდი პრემიაა.

— სანამ ექტორ რაულ კუპერი ნაკრების თავკაცად დაინიშნებოდა, თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ ერთ-ერთ თანაშემწედ ქართველი ეყოლებოდა. ეს საკითხი უკვე აღარ განიხილება?

— ამის მოთხოვნა არ ყოფილა. მომავალში შეიძლება განვიხილოთ. კუპერი ახლაც ჩაბმულია ქართველ მწვრთნელებთან მუშაობაში, ანუ საკმარის ინფორმაციას იღებს მათგან.

— და 21-წლამდელთა ნაკრებში პეტარ სეგრტის შემცვლელი როდის გამოცხადდება?

— ჯერ საკმაო დროა მომდევნო შესარჩევის დაწყებამდე.

— კანდიდატები ვინ არიან, ვერ გვეტყვით?

— ამ თემაზე საუბარი ჯერ არ იქნება სერიოზული. გენერალური სამდივნო აღმასკომის სხდომას დანიშნავს და, სავარაუდოდ, იქ კანდიდატებზეც ითქმება.

**ილია ნანობაშვილი**

# ქვემო ქართლი — აფხაზეთი
# დღეს რუსთავში ბურთი გაგორდება

**ქვემო ქართლის** ადმინისტრაციის ხელშეწყობით, დღეს რუსთავის „ფოლადზე" აფხაზეთის ფეხბურთის 100-წლისთავისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო მატჩი ჩატარდება.

აფხაზეთში დაბადებულ ფეხბურთელთა ნაკრები ქვემო ქართლის ნაკრებს გაეჯიბრება.

აფხაზეთი ყოველთვის ტალანტებით იყო მდიდარი და იმედი გვაქვს, მალე დაუბრუნდება ეს ულამაზესი ნაწილი საქართველოს. იქ კვლავაც აღიზრდებიან ნიჭიერ-ნიჭიერი ფეხბურთელები...

ეს მატჩიც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ აფხაზური ფეხბურთი საქართველოს ნაწილია, არსებობს და მარად იარსებებს.

ამ მატჩზე დასწრება უფასოა და გულშემატკივარიც ალბათ არ დაიზარებს მისვლას.

როგორც აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ გვითხრა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგურია, გპირდებით, გუნდები მაგარ ბრძოლას გააჩაღებენო.

გულშემატკივრებსაც ეგ არ უნდა?!

**ნუკრი ლოლაძე**

### ქვემო ქართლის ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები:* მირზა მერლანი (ოლიმპი), ზვიად სტურუა (ოლიმპი);

*მცველები:* გიორგი ონიანი (ოლიმპი), აქსენტი გილაური (ოლიმპი), თემურ ლონლაძე (ოლიმპი), რევაზ ქემოკლიძე (სიონი);

*ნახევარმცველები:* გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), გიორგი გაბიდაური (ოლიმპი), გიორგი ფეიქრიშვილი (ოლიმპი), ლევან შავგულიძე (სიონი), ლევან სანიკიძე (სიონი), კახა ალადაშვილი (უგუნდო);

*თავდამსხმელები:* გიორგი მევრელაძე (ოლიმპი), კოკა მიკუჩაძე (ოლიმპი), გივი ჩხეტიანი (ოლიმპი), შოთა ჯიქია (სიონი), რევაზ გოცირიძე (სიონი)

*მწვრთნელები:* ხვიჩა ქასრაშვილი და ოთარ კორღალიძე

### აფხაზეთის ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები:* ზურაბ ქვაჩახია (სიონი), ლევან ცომაია (ნ. დინამო);

*მცველები:* გედევან დარასელია (დინამო), თენგიზ ჩიკვილაძე (ოლიმპი), ზაზა ქაჯაია (ვაგრა), ოლეგ გველესიანი (დინამო), ზვიად ჯელაძე (ვოსტოკი, ყაზახეთი);

*ნახევარმცველები:* გოგი ფიფია (ოლიმპი), დენის დობროვოლსკი (ოლიმპი), გიორგი გულორდავა (მგლები), გიორგი ქუცურუა (მგლები), ვალტერ გუჩუა (მგლები), კოტე დარსანია (მგლები), ბესო მამარდაშვილი (ნ. დინამო), ვიტალი დარასელია (ლოკომოტივი), გიზო ჯელაძე (ვოსტოკი, ყაზახეთი);

*თავდამსხმელები:* ლექსო აბაშიძე (ვაგრა), ნუკრი გოგოხია (სპარტაკი), გია თოდუა (მგლები).

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე, მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა.


ქ. რუსთავის ფოლადის სტადიონი

ქვემო ქართლის ნაკრები VS აფხაზეთის ნაკრები

ამხანაგური-საქველმოქმედო მატჩი ეძღვნება აფხაზეთის ფეხბურთის 100 წლისთავს

მხარდამჭერი: ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია

გენერალური სპონსორი: campina

საორგანიზაციო-საინფორმაციო უზრუნველყოფა: სარბიელი

Sandora

10 ოქტომბერი 15.30 საათზე



# ისინი და ქეცბაია

**საქართველოს** ნაკრების ხვალინდელი მეტოქე კვიპროსის ნაკრები თბილისის აეროპორტში 14.30 საათზე დაეშვა. კვიპროსელები ჩარტერული რეისით ჩამოვიდნენ, სულ 35 კაცი.

მათ შორის იყო საქართველოს ნაკრების ყოფილი ლიდერი თემურ ქეცბაიაც, რომელიც ამჟამად კვიპროსულ „ანორთოსისს" წვრთნის. ჩემპიონთა ლიგაში ამ გუნდს ბოლოდროინდელ წარმატებაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვისაც სასიამოვნოა.

სტუმრები მთავარ მწვრთნელ ანგელოს ანასტასიადისის თამადობით ერთნაირ შარვალ-კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილნი. მგზავრობით არც ისე დაღლილები ჩანდნენ და უხასიათობაც არ ეტყობოდათ.

კვიპროსელები აეროპორტიდან „შერატონ მეტეხი პალასისკენ" გაეშურნენ და 15.20 საათზე მიადგნენ სასტუმროს. რამდენიმე წუთი ბარგის ჩამოცლას მოანდომეს, შემდეგ თავიანთ ნომრებში ავიდნენ, საღამოს კი ვარჯიში იყო „მიხეილ მესხზე"...

**ნუგზარი ლოლაძე**

# ანგელოს ანასტასიადისი ისევ ფეხბურთელია?!

## კვიპროსს ლიდერი საეჭვო გაუხდა

**კვიპროსის** ნაკრები „მიხეილ მესხის" სტადიონს საღამოს შვიდის ნახევარზე მოადგა, ანუ ნახევარი საათით ადრე, ვიდრე ჩვენთვის იყო ცნობილი. ჩვენც თითქოს გულმა გვიგრძნო და ადრე მივედით. ვარჯიშს თავიდანვე ვუყურეთ...

კუნძულელთა მწვრთნელმა ანგელოს ანასტასიადისმა ჯერ ორი წრე არბენინა შეგირდებს, მერე კი კვადრატები გაჩაღდა.

კაი ჯანზე ყოფილა ანასტასიადისი — ისე კოხტად ჩაება კვადრატში და ისე სწრაფად დარბოდა, შუახნის კაცის სახე რომ არა, ისიც ფეხბურთელი გეგონებოდა.

თავიდან ცნობილი იყო, რომ კვიპროსელთა ვარჯიში მხოლოდ 20 წუთით უნდა ყოფილიყო ღია, თუმც ნახევარ საათს გვაყურებინეს.

ჰო, ანასტასიადისმა ორი მცველი ტრავმის გამო ვერ ჩამოიყვანა, ხოლო ნაკრების კაპიტანი, „ომონიას" ფორვარდი იოანის ოკასი გუშინ ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად დარბოდა და გუნდთან ერთად არ უვარჯიშია. 31 წლის ოკასი კუნძულელთა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და თუ ხვალამდე ვერ მომჯობინდა, საქართველოსთვის არცთუ პატარა პლუსი იქნება.

კვიპროსელებს 21 ფეხბურთელი ჰყავთ თბილისში, რომელთაგან ოკასის გარდა ბერძნული „ირაკლისის" ფორვარდი მიხალის კონსტანტინუ, დონეცკის „მეტალურგის" მარცხენა ნახევარმცველი კონსტანტინოს მაკრიდისი და აპოელ-ის მარჯვენაფლანგელი კონსტანტინოს ხარალამბიდისი სხვებზე ცნობილნი არიან.

სამი ფეხბურთელი თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი „ანორთოსისიდანაა" — სამივე მცველია.

ისე, თვალშისაცემია, რომ ანასტასიადისს მხოლოდ ოთხი ნომინალური მცველი ჰყავს ჩამოყვანილი.

„მიხეილ მესხის" სტადიონი საგულდაგულოდ დაათვალიერა შვეიცარიელმა ვალტერ გაგმა: ეს კაცი საქართველოს ნაკრების უახლოესი ორივე მატჩის დამკვირვებელი გახლავთ. დელეგატი კი ავსტრიელი გერჰარდ კაპლი იქნება, რომელიც უეფას სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელად მუშაობდა.

და კიდევ, კვიპროსის ნაკრებს შვიდი ჟურნალისტი ჩამოჰყვა, თუმცა გუშინდელ ვარჯიშზე ისინი არ გვინახავს...

**ილია ნანობაშვილი**



| 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 სექტემბერი, 2001 | უნგრეთი 3:1 | | | |
| 5 სექტემბერი, 2001 | ლიტვა 2:0 | | | |
| **2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი** | | | | |
| 29 მარტი, 2003 | ირლანდია 1:2 | | | |
| 2 აპრილი, 2003 | შვეიცარია 0:0 | | | |
| **2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი** | | | | |
| 26 მარტი, 2005 | საბერძნეთი 1:3 | | | |
| 30 მარტი, 2005 | თურქეთი 2:5 | | | |
| **საქართველოს ნაკრები ოქტომბერში** | | | | |
| 12.10.1994 | ეჩშ. | ს | ბულგარეთი | 0:2 |
| 11.05.1995 | ეჩშ. | შ | ბულგარეთი | 2:1 |
| 08.10.1996 | მჩშ. | ს | იტალია | 0:1 |
| 11.10.1997 | მჩშ. | შ | პოლონეთი | 3:0 |
| 10.10.1998 | ეჩშ. | ს | ლატვია | 0:1 |
| 14.10.1998 | ეჩშ. | ს | საბერძნეთი | 0:3 |
| 09.10.1999 | ეჩშ. | ს | ალბანეთი | 1:2 |
| 11.10.2000 | მჩშ. | ს | იტალია | 0:2 |
| 07.10.2000 | მჩშ. | ს | ლიტვა | 4:0 |
| 06.10.2001 | მჩშ. | ს | რუმინეთი | 1:1 |
| 11.10.2003 | მჩშ. | ს | რუსეთი | 1:3 |
| 12.10.2004 | მჩშ. | ს | უკრაინა | 0:2 |
| 08.10.2005 | მჩშ. | შ | ყაზახეთი | 0:0 |
| 12.10.2005 | სჩშ | ს | საბერძნეთი | 0:1 |
| 07.10.2006 | ამ. | ს | გერმანია | 0.2 |
| 11.10.2006 | ეჩშ. | შ | იტალია | 1:3 |
| 13.10.2007 | ეჩშ. | ს | იტალია | 0:2 |
| 17.10.2007 | ეჩშ. | შ | შოტლანდია | 2:0 |
| სულ: 18 მატჩი, +4=2-12, 15:26 | | | | |
| შინ: 5 მატჩი, +3=1-1, 8:4 | | | | |

# რამდენს ვწურავთ ღვინობისთვეში?




## ოთხ დღეში ორი საშინაო მატჩი

**აქამდე** სამჯერ ყოფილა, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მიჯრით ოთხ დღეში ორი ოფიციალური მატჩი ჩაუტარებია. ცხადია, ამას თავისი პლუსი აქვს — შინ ემზადები, შეკრებისთვის მეტი დრო გაქვს და გადაფრენა-გადმოფრენა არ გჭირდება.

და როგორ იყენებდა ამ პლუსს ჩვენი გუნდი? პირველ ჯერზე მშვენივრად. 2001 წლის სექტემბრის დასაწყისში ნაკრებს ევროჩემპიონატის საგზურის შანსი უკვე დაკარგული ჰქონდა, თუმც ორი თბილისური მატჩიდან ორივე მოიგო — ჯერ უნგრეთს 3:1 სძლია, ოთხ დღეში კი ლიტვა ბოლო წუთებზე გატეხა (2:0). ამ ხუთი გოლიდან სამი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა.

საერთოდაც, ამ ორ შეხვედრებში ჩვენებმა კარგი თამაში აჩვენეს.

მეორედ ოთხდღიანი „საშინაო ტური" 2003 წლის მარტის ბოლოს გვქონდა. ექვსი შესაძლებლიდან ერთი ქულა: ირლანდიასთან ბოლო წუთებზე გაშვებულით მარცხი. შვეიცარიასთან კი 0:0, რითაც, ფაქტობრივად, 2004 წლის ევროჩემპიონატზე გასვლის იმედიც გაქრა.

უფრო უნაყოფო ოთხდღიანი სერია 2005 წლის მარტში იყო. ალენ ჟირესის ნაკრებმა ციკლი კარგად დაიწყო და ოთხ მატჩში ხუთი ქულა ჰქონდა, თუმცა მოახლოვდა საბერძნეთ-თურქეთთან თბილისური შეხვედრები და ამ ოთხ დღეში რვა ბურთით ამოგვავსეს. გეხსომებათ, ბერძნებთან ვიგებდით, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გაშვებულმა ორმა გოლმა ნაკრები გატეხა, ხოლო თურქეთთან, საერთოდ დემორალიზებული იყო ჟირესის გუნდი: ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა საქართველოს ნაკრებმა შინ ხუთი ბურთი გაუშვა. აქ მორჩა მორიგი ზღაპარი, თითქოს „ჯვაროსნები" მუნდიალზე გასვლას შეძლებდნენ...

ახლა კი, 11-15 ოქტომბერს საქართველოს კიდევ ერთხელ ელის ოთხდღიანი საშინაო სერია...

რაც შეეხება საოქტომბრო მატჩებს, რა თქმა უნდა, ზოგადად, ამ თვეშიც უარყოფითი ბალანსია, მაგრამ სხვა თვეებთან შედარებით, იღბლიანია.

დააკვირდით: კონკრეტულად 11 ოქტომბერს ნაკრებმა, ვინძლო, თავისი საუკეთესო მატჩები ჩაატარა: 2:1 ბულგარეთთან და 3:0 პოლონეთთან.

ოქტომბერშივე იყო ნაკრების ბოლო ოფიციალური სიხარული — ლევან მჭედლიძე-დავით სირაძის გოლებით შოტლანდიელების დაჩოქება. ასევე, ყველაზე მსუყე ანგარიშით გასვლაზე მოგება: 4:0 ლიტვასთან.

და კიდევ, „ღვინობისთვეს" ჩვენებს მხოლოდ ერთხელ წაუგიათ თბილისში — შარშანწინ, სწორედ 11 ოქტომბერს იტალიასთან.

**ილია ნანობაშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მარჩელო ლიპი

# მკვლელობათა საზიზღარი სერია!

## ლიპის პოლიტიკურ არჩევანს აბრალებენ




იუვენტუსელი დავიდ ტრეზეგე ნაპოლელი ფაბიანო სანტაკროჩეს წინააღმდეგ



მაია ჯიჯავა რომიდან

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქე იტალია 5 ოქტომბერს კოვერჩანოში შეიკრიბა.

შეგახსენებთ: „სკუადრა ატურა" 11 ოქტომბერს სოფიაში ბულგარეთის ნაკრებს დაუპირისპირდება, ხოლო 15 ოქტომბერს ლეჩეში ჩერნოგორიას უმასპინძლებს.

კვიპროსთან და საქართველოსთან 6 ქულის აღების მიუხედავად, იტალიელები თავიანთი ნაკრების თამაშით უკმაყოფილონი არიან. უმეტესობის აზრით, „სკუადრა ატურა" კვიპროსთან გამარჯვებას არ იმსახურებდა...

ვეტერანი ფეხბურთელების ტრავმების გარდა, ალბათ, სწორედ ამის გამოცაა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ შემადგენლობა რომ გადაახალისა და ყველასთვის მოულოდნელად, რევოლუციური სია ჩამოწერა, სადაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონებისგან ნახევარი თუ დარჩა.

სავარაუდოდ, ბულგარეთში ოთხი ფეხბურთელის დებიუტი შედგება: ესპანური „ვილეარეალის" თავდამსხმელი ჯუზეპე როსი, „უდინეზეს" თავდამსხმელი სიმონე პეპე, „ნაპოლის" ნახევარმცველი კრისტიან მაჯო და „ნაპოლისავე" მცველი ფაბიანო სანტაკროჩე.

ახალწვეულთაგან ყველაზე დიდი აჟიოტაჟი და ინტერესი ნეაპოლელმა მცველმა გამოიწვია. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სანტაკროჩე იტალიის ნაკრებში პირველი შავკანიანი ფეხბურთელია.

თავისთავად, ამაში დიდად განსაკუთრებული არაფერია, თუ არ გავითვალისწინებთ ბოლო დღეებში იტალიაში განვითარებულ სკანდალურ მოვლენებს.

ბოლო დროს ერთმანეთის მიყოლებით აპენინის ნახევარკუნძულის თითქმის ყველა დიდ ქალაქში დაფიქსირდა რასიზმის ფაქტები.

ყველაფერი სექტემბრის ბოლოს მილანში დაიწყო, სადაც იტალიელმა მამა-შვილმა, წარმოშობით ბურკინაფასოელი, თუმც იტალიის მოქალაქე, 19 წლის აბდულ უილიამ გუიბრე ცემით მოკლეს.

ბარის მეპატრონე მამა-შვილი ირწმუნებოდა, რომ აბდული არა რასიზმის, არამედ ქურდობის გამო შემოაკვდათ და ეს ფაქტი მხოლოდ სამწუხარო უბედური შემთხვევა იყო, თუმცა თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ მკვლელები ახალგაზრდას „ბინძურ ზანგს" ეძახდნენ.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში პარმაში 22 წლის განელი ემანუელ ბონუსი პოლიციელებმა სასტიკად სცემეს. პარმელმა სამართალდამცავებმა შავკანიანი ახალგაზრდის ცემა უბრალო შეცდომას დააბრალეს, ემანუელი მათ ნარკომოვაჭრეში შეეშალათ.

ცოტა ხანში, ამჯერად უკვე რომში, 25 წლის ჩინელს ავტობუსის გაჩერებაზე ექვსი იტალიელი თინეიჯერი დაესხა თავს — მძიმე დაზიანებებით დაზარალებული რომის საავადმყოფოში მიიყვანეს.

ყველაზე სასტიკი ფაქტი კი სწორედ ნეაპოლის მახლობლად, პატარა ქალაქ კაზერტანოში მოხდა. „კამორად" წოდებული ნეაპოლური მაფია შავკანიანებს დაესხა თავს და ცეცხლსასროლი იარაღით შვიდი ადამიანი დახოცა.

როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში, იტალიის მთავრობამ ამჯერადაც სცადა თავის გამართლება და კაზერტანული ხოცვა-ჟლეტა არა რასიზმს, არამედ მაფიოზურ კლანებს შორის დაპირისპირებას დაუკავშირა.

მოკლე პერიოდში არაევროპელებზე ამდენმა თავდასხმამ იტალია საგონებელში ჩააგდო და პოლიტიკოსებმა მოსახლეობასთან ერთად განგაში ატეხა. მთავრობამ პარლამენტის სხდომები მთლიანად ამ ამბებს მიუძღვნა, ხალხმა კი ფართომასშტაბიანი აქციები მოაწყო და ყველა დამნაშავის დასჯა მოითხოვა.

ბუნებრივია, როდესაც ამ მოვლენების პარალელურად „სკუადრა ატურას" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ნაკრებში შავკანიანი ფეხბურთელი გამოიძახა, ჟურნალისტებმა ეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მონათლეს, რაც, თავის მხრივ, მარჩელო ლიპიმ სასტიკად უარყო:

„სანტაკროჩეს ნაკრებში გამოძახება პირადად ჩემი გადაწყვეტილებით მოხდა და არანაირად არ უკავშირდება პოლიტიკას. ფეხბურთი პოლიტიკისგან შორს უნდა იყოს. თუ თვლით, რომ ფაბიანოს იტალიის ნაკრებში გამოჩენა ანტირასისტული მესიჯია, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან რასიზმის სასტიკი წინააღმდეგი ვარ და მიმაჩნია, რომ ასე უნდა ფიქრობდეს თითოეული ადამიანი. საბედნიეროდ, ჩემი აზრით, საფეხბურთო სამყარომ დიდი ხანია, დაძლია რასიზმი და ეს პრობლემა სპორტში აღარ არსებობს".




ფაბიანო სანტაკროჩე დედით ბრაზილიელი და მამით იტალიელია. ის 1986 წლის 24 აგვისტოს ბრაზილიაში დაიბადა, 4 წლის ასაკიდან კი მშობლებთან ერთად იტალიაში ცხოვრობს.

ფაბიანოს კარიერა 2004 წელს „კომოში" დაიწყო. 2005-07 წლები ახალგაზრდა ფეხბურთელმა „ბრეშაში" გაატარა, 2008 წლიდან კი სერია A-ს „ნაპოლიშია" და სწორედ აქ მოიხვეჭა პოპულარობა.

სულ მალე იტალიელებმა სანტაკროჩე ახალ კანავაროდ მონათლეს და შესაბამისად, აპენინელთა უმრავლესობა შავკანიანი იტალიელის ნაკრებში გამოჩენას სიხარულით შეხვდა.

იმპულსური (აქაური პრესა ასე ეძახის, რადგან ფეთქებადი ხასიათის გამო ხშირად აძევებენ) ახალბედა თავს უბედნიერეს ადამიანად თვლის და ნაკრებში დებიუტს თავის პირველ მწვრთნელს, „კომოს" თავკაც სტეფანო ბერგონოვოს უძღვნის, ვინც ახლა მძიმე ავადმყოფია.

„ძალიან ბედნიერი ვარ ნაკრებში გამოძახებით, ეს ყველა ფეხბურთელის მიზანი და ნატვრაა. ისღა დამრჩენია, მარჩელო ლიპის და ყველა იმ ადამიანის მოლოდინი გავამართლო, ვინც ჩემი ირწმუნა. ამ წარმატებას კი ჩემს პირველ მწვრთნელ სტეფანო ბერგონოვოს ვუძღვნი, რადგან ყოველთვის სჯეროდა ჩემი და სწორედ მან მასწავლა ბოლომდე ბრძოლა... რაც შეეხება იტალიაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, მინდა განვაცხადო, რომ პირადად არასდროს ვყოფილვარ რასიზმის მსხვერპლი და არასდროს მიგრძვნია თავი დამცირებულად ჩემი კანის ფერის გამო. მე იტალიელი ვარ და ჩემი სამშობლო არ არის რასისტული ქვეყანა" — განაცხადა სანტაკროჩემ კოვერჩანოში.

# ALS: ფეხბურთელი, რომელსაც თვალებიღა დარჩა



რობერტო ბაჯო და სტეფანო ბორგონოვო



რობერტო ბაჯოს ამ საქმეში ფრანკო ბარეზიც შეუერთდა

**იტალიური** ფეხბურთი ახალი და ძალიან სერიოზული საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, ამჯერად საქმე არა გარიგებულ მატჩებს, არამედ მძიმე ავადმყოფობას ეხება, რომლითაც უკვე 43 ყოფილი ფეხბურთელი დაავადდა. თითოეული მათგანის ასაკი 40 წელს ზევითაა. ვითარება განსაკუთრებით საგანგებო მას მერე გახდა, რაც რამდენიმე დაავადებული გარდაიცვალა. მათ შორის იყო „ჯენოას“ ყოფილი კაპიტანი ჯანლუკა სინიორინი.

დაავადებას ALS (Amyothophic Lateral Sclerosis) ჰქვია და კუნთების სრულ ატროფიას იწვევს. ავადმყოფს არც მოძრაობა შეუძლია და ლაპარაკის უნარსაც კარგავს. განსაკუთრებით შემაშფოთებელი კი ის არის, რომ დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ვინაიდან ALS-ით ფეხბურთელები დაავადნენ, საქმეში ექიმების გარდა გამოძიებაც ჩაერთო, რომელსაც ტურინელი პროკურორი რაფაელე გარინიელო ხელმძღვანელობს. მისი სპეციალობა ანტიდოპინგიური საქმეების გამოძიებაა.

როგორც ვთქვით, დაავადების გამომწვევი მიზეზი ჯერ დაუდგენელია, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მიზეზი იმ ქიმიურ პრეპარატებშია საძებნი, რომლებსაც იტალიაში მოედნის მოსავლელად იყენებენ.

ოთხშაბათს კი ამ პრობლემებისადმი საყოველთაო ყურადღების მისაპყრობათ და შემდგომი კვლევებისთვის ფულის მოსაძიებლად ფლორენციაში საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომლის ორგანიზატორებიც ახლო წარსულის დიდი ვარსკვლავები რობერტო ბაჯო და რუუდ გულიტი იყვნენ. მთელი შემოსული თანხა კი სტეფანო ბორგონოვოს მეუღლის მიერ დაარსებულ სპეციალურ ფონდში გადაირიცხა.

სტეფანო ბორგონოვო ბაჯოსა და გულიტის თანაგუნდელი გახლდათ „ფიორენტინასა“ და „მილანში“. 1988-89 წლების სეზონში „ფიორენტინას“ გატანილი 44 გოლიდან 29 სწორედ ბაჯოსა და ბორგონოვოს ანგარიშზეა.

„არტემიო ფრანკიზე“ ოთხშაბათ საღამოს მისული გულშემატკივარი კი ძალიან მძიმე სურათის მნახველი გახდა. ბორგონოვო საინვალიდო ეტლით შეიყვანეს მოედანზე, ვინც ხალხს სპეციალური აპარატურის მეშვეობით — თვალების მოძრაობას სიტყვებად რომ გარდაქმნის — მიესალმა ქომაგებს. ყოფილ ფეხბურთელს თვალების გარდა ადამიანებთან ურთიერთობის არანაირი სხვა უნარი აღარ შერჩა.

უშუალოდ შეხვედრას რაც შეეხება: პირველ ტაიმში ერთმანეთს „ფიორენტინასა“ და „მილანის“ ახლანდელი შემადგენლობები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მეორე ტაიმში კი ამავე გუნდების ვეტერანები. ითამაშა ბაჯომაც, გულიტი კი, რომელმაც ახლახან ოპერაცია გაიკეთა, სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

„სტეფანოს ამბავი სამი კვირის წინ გავიგე და შევშფოთდი, მაგრამ ნამდვილად არ მოველოდი, მისი მდგომარეობა ამდენად მძიმე თუ იქნებოდა. მისი ნახვა ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო — თქვა გულიტმა ფლორენციაში ჩასვლისთანავე — „მილანში“ მასთან ერთად თამაში ჩემთვის უდიდესი პატივი იყო“.

რობერტო ბაჯო: „ყველამ იცის, რასაც ნიშნავს ჩემთვის „ფიორენტინა“, დღეს კი მე აქ სტეფანოსთვის ჩამოვედი“.

კარლო ანჩელოტი, „მილანის“ მწვრთნელი: „თავის დროზე მე და სტეფანო თანაგუნდელები ვიყავით, მეგობრობას დღემდე ვაგრძელებთ. თითოეული მილანელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დღეს აქ ყოფნა. იმედი მაქვს, ამ შეხვედრით მას სიხარული მივანიჭეთ და ძალაც შევმატეთ, ავადმყოფობასთან საბრძოლველად“.

და ერთიც, იტალიასა და ჩერნოგორიას შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემოსავალიც, ასევე სტეფანო ბორგონოვოსა და სხვა დაავადებულთა დასახმარებლად გადაირიცხება. „სტეფანოს ამბავმა ყველანი შეგვძრა“ — თქვა „სკუადრა აძურას“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

**მაია ჯიჯავა რომიდან**

# შეამოწმეთ ავტომოპასუხე: იქ თქვენზე სიმღერაა

## აწყობილიდან უფრო აწყობილში

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი კლუბშიც და ეროვნულ გუნდშიც ერთ-ერთი ყველაზე მშრომელი და სასარგებლო მოთამაშეა. ის „წითელ ეშმაკებზე“ და სამომავლო გეგმებზე საუბრობს...



**— რა მიზნები გაქვთ თქვენს მეორე მანჩესტერულ სეზონში?**

— მინდა, გუნდთან ერთად ის გავაკეთო, რაც წინა სეზონში ვერ შევძელით. ეს კი ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ყველა ტურნირში გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. საამისოდ ძალიან კარგ ფორმაში უნდა ვიყოთ, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი მატჩებისას. სხვანაირად წინა სეზონის დარად და, მით უმეტეს, უფრო უკეთ თამაში არ გამოგვივა. პირადად მე რაც შემეხება, მინდა ყველა შეხვედრისთვის მზად ვიყო და ამ სეზონში მაინც ავიცილო ტრავმები თავიდან.

**— წარმოიდგენდით, რომ „მანჩესტერში“ თქვენი პირველივე სეზონი ასეთი წარმატებული იქნებოდა და საბოლოოდ, პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებით დასრულდებოდა?**

— ასეთ წარმატებას ველოდი და სწორედ ამიტომ გადმოვედი „მანჩესტერში“, თორემ „ბაიერნში“ ბრწყინვალედ მქონდა აწყობილი საქმე. ჩემპიონთა ლიგა უკვე მოგებული მქონდა, ოთხჯერ გერმანიის ჩემპიონატში ვიმარჯვეთ, სამჯერ თასზე... გამარჯვების გემო უკვე კარგად ვიცოდი, მაგრამ ველოდი, რომ „მანჩესტერში“ კიდევ უფრო დიდ წარმატებას მივაღწევდი. „წითელ ეშმაკებში“ მოხვლის პირველივე დღიდან მქონდა შეგრძნება, რომ ამ ორი ტიტულის მოგება შეგვეძლო. შესაბამისად, ჩემთვის ეს სიურპრიზი არ ყოფილა. სეზონის დასაწყისში ლაპარაკი ყოველთვის მარტივია, მაგრამ მე მართლა მჯეროდა ჩვენი შესაძლებლობების. საბოლოოდ, გუნდის წამყვანი ფეხბურთელები სერიოზულ ტრავმებს გადაურჩნენ, საჭირო დროს შევიდნენ ფორმის პიკში და კარგი ფეხბურთი აჩვენეს, რისი წყალობითაც გავიმარჯვეთ კიდეც. ვფიქრობ, ეს სავსებით დამსახურებული გამარჯვებები იყო.

**— რატომ დაიწყო „მანჩესტერმა“ ეს სეზონი მძიმედ?**

— თავიდანვე რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა. კრიშტიანუ რონალდუ ტრავმირებული გახლდათ, ანდერსონი ოლიმპიადაზე თამაშობდა. მინდორზე ვერც მაიკლ კარიკი და უეინ რუნი გამოდიოდნენ. ძლიერი გუნდი გვყავს და დიდი არჩევანიც გაგვაჩნია, მაგრამ ერთდროულად ასეთი დონის ამდენი მოთამაშის დანაკლისი ჩვენისთანა გუნდსაც კი გასაჭირში აგდებს. დაწყება მართლაც არ იყო იდეალური და „ლივერპულთან“ მატჩი ალბათ უცუდესი გახლდათ ჩვენთვის და არც ვამბობ, რომ მერსისაიდელებმა დაუმსახურებლად მოიგეს. ახლა ყველაფრის გამოსწორება დავიწყეთ, საქმე ნელ-ნელა წინ მიდის და გვინდა, ჩვეულად რაც შეიძლება მალე ავთამაშდეთ.

**— ამბობთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. გუნდში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია და ეს არის თქვენი ასეთი თავდაჯერებულობის მიზეზი?**

— ეს გუნდი ნიჭიერი ფეხბურთელების სიმრავლით ყოველთვის გამოირჩეოდა. წინა სეზონის დასაწყისში „რედინგთან“ და „პორტსმუთთან“ ფრეები ვითამაშეთ, „მანჩესტერ სიტისთან“ კი წავაგეთ, მაგრამ ერთი წუთითაც არავინ დაეჭვებულა, რომ საბოლოოდ წარმატებას მივაღწევდით. თითოეული ფეხბურთელი თავდაუზოგავად შრომობს. ზოგჯერ ყველაფერი კარგადაა, ზოგჯერ კი არა. როცა ჩვენ საუკეთესო თამაშს ვაჩვენებთ და სრულ პოტენციალს ვავლენთ, როგორც წესი, მეტოქეს ყოველთვის ვამარცხებთ. მთავარია, სწორ გზას არ გადავუხვიოთ და ასე გავაგრძელოთ, კარგი შედეგები კი აუცილებლად მოვა, რადგან სათამაშო კლასი ნამდვილად არ გვაკლია.

**— დაბოლოს, „მანჩესტერის“ ფანებმა სიმღერა რომ მოგიძღვნეს თუ მოასმინეთ?**

— დიახ, მოსმენილი მაქვს. ერთმა ჩემმა მეგობარმა, სკოლზიმ, რომელიც „მანჩესტერის“ თავგადაკლული ქომაგია, შვებულებისას დამირეკა და ავტომოპასუხეზე მიმღერა ეს სიმღერა. თუმცა პირველად ეს სიმღერა ჩემპიონთა ლიგის ფინალის მერე მოვისმინე, როცა მოსკოვიდან მოვდიოდით — აეროპორტში ვისხედით და ჩვენს რეისს ველოდებოდით, იქვე ჩვენი რამდენიმე ფანი იყო, და მათ ეს სიმღერა წამოიწყეს. მე და ჯონ ოშიმ ერთმანეთს გადავხედეთ და გადავიხარხარეთ.

# კარლ-ჰაინც რუმენიგე: კლინსი ხელშეუხებელია!



**მიუნხენის „ბაიერნის" შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ Bild-თან ინტერვიუში კლუბის წარუმატებელ სტარტზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი ხელმძღვანელობის სრული ნდობით სარგებლობს და მისი გადადგომის საკითხი არც კი განიხილება...**

**— ხომ არ ნანობთ გუნდის დამრიგებლად იურგენ კლინსმანის მოყვანას?**

— იურგენს მის წამოწყებებში სრულად ვენდობით და მისეული ფილოსოფია კლუბისთვის აბსოლუტურად მისაღებია. ეს სწორედ ის მწვრთნელია, რომელიც „ბაიერნს" სჭირდებოდა. პრინციპში, ის ყველაფერს სწორად აკეთებს, ერთი ეგაა, რომ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს. თუმცა, მოთმინება გვმართებს და წარმატებაც არ დააყოვნებს.

**— რამდენ დროს აძლევთ კლინსმანს?**

— ვიმეორებ, მას სრულ ნდობას ვუცხადებთ, ხოლო შექმნილ ვითარებას მხოლოდ მასთან ერთად გავაანალიზებთ.

**— ანუ მის კვალიფიკაციაში არანაირი ეჭვი არ შეგაქვთ?**

— არა! კლუბმაც და ჩვენმა ქომაგმაც უნდა დავამტკიცოთ, რომ მოთმინების უნარი გაგვაჩნია. თუკი მწვრთნელი ნდობას იგრძნობს, შედეგი აუცილებლად მოვა.

**— რას გულისხმობთ?**

— 30 წლის განმავლობაში გამარჯვებებითა და ზეიმებით განებივრებულები ვიყავით. ამ სეზონში კი პრობლემებს წავაწყდით, რომელთაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუმკლავდებით, თუ ერთიან ძალას დავუპირისპირებთ.

**— და თუ, ვთქვათ, მომდევნო სამ მატჩში „კლინსი" მხოლოდ სამ ქულას აიღებს?..**

— ეს არ მოხდება. რათა მსგავსი არ განმეორდეს, ზოგიერთ ფეხბურთელთან სერიოზული საუბარი მოგვიწევს. თუკი ვინმეს ჰგონია, რომ „ბაიერნში" ეგოიზმს ავიტანთ, განვმარტავთ, რომ ამ გზით წარმატება არ მიიღწევა. მოვითხოვ, რომ გუნდმა ძალების სრული მობილიზებით იბრძოლოს.

**— ეს ალბათ, უპირველესად, ბოროვსკისა და პოდოლსკის შეეხება, რომლებიც „ბოხუმთან" 3:1-ზე შევიდნენ შეცვლაზე...**

— კონკრეტული გვარების ჩამოთვლას არ ვაპირებ.

**— და რა ემართება მარკ ვან ბომელს? ნუთუ აღარ აქვს ძირითადში დაბრუნების შანსი?**

— მე და ული ჰიონესი მარკს ვესაუბრეთ. ეს არის საუკეთესო კანდიდატურა „ბაიერნის" კაპიტნობაზე, მაგრამ მას სპორტული ხასიათის პრობლემები ჰქონდა. ვან ბომელს ეს თავადაც კარგად ესმის. თუმცა, ის აუცილებლად დაბრუნდება — როგორც მოთამაშე, როგორც ლიდერი და, რასაკვირველია, როგორც კაპიტანი.

**— მეკარეზეც ვთქვათ. მიხაელ რენზინგი „ბაიერნის" ღირსეული მეკარეა?**

— მას ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. რენზინგი ჩვენი ნდობით კი სარგებლობს, მაგრამ რამდენიმე უხეში შეცდომის შემდეგ, ეს მეკარე გარკვეულ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს განიცდის. „ბოხუმისგან" გაშვებული მესამე გოლი ამას ნათლად ადასტურებს.

**— „კლინსის" სამწვრთნელო შტაბი მეტისმეტად გაბერილი ხომ არ არის? მისი ყველა ასისტენტი ფლობს გერმანულს?**

— შტაბში მხოლოდ სამი მწვრთნელია — მარტინ ვასკესი, ნიკ ტესლოვი და ვალტერ ოუნგსანი. სამივე უმაღლესი დონის სპეციალისტია, ისინი ბაზაზე გამოჩენისას მიდიან და გვიან საღამომდე თავდაუზოგავად შრომობენ.

**— თქვენი პროგნოზი — როგორ დასრულდება ეს სეზონი „ბაიერნისთვის"?**

— საჩემპიონო ტიტულისთვის ბრძოლაზე უარი ჯერ არ გვითქვამს. ვიბრძოლებთ და მიზანსაც მივაღწევთ, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— და ვინ იქნება გუნდის სათავესთან ბოლო, 34-ე ტურში?**

— იურგენ კლინსმანი.

**— საბოლოო გადაწყვეტილებაა?**

— საბოლოო. ეს ეჭვგარეშეა.

## შვედური დანაკლისები

**შვედეთის** ნაკრების თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი პორტუგალიასთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამოტოვებს. „ჰელსინგბორგის" მოთამაშემ სამშაბათის ვარჯიშზე მარჯვენა ბარძაყის ტრავმა მიიღო და დაახლოებით სამი კვირა დასვენება მოუწევს.

ლუზიტანებთან შეხვედრაში სკანდინავებს ოლაფ მელბერგი და კრისტიან ვილჰელმსონიც ვერ დაეხმარებიან. მათ ნაცვლად შვედების თავკაცმა ლარს ლაგერბეკმა მაქს ფონ შლებრუგსა და პეტერ ანდერსონს უხმო.

## როდას თავკაცი დაითხოვეს

**ჰოლანდიური** „როდას" მთავარი მწვრთნელი რაიმონ ატეველდი თანამდებობიდან დაითხოვეს. ამ გადაწყვეტილების მიზეზი კლუბის ძალიან ცუდი შედეგებია. „როდამ" ჰოლანდიის ჩემპიონატში ძალიან წარუმატებელი სტარტი აიღო და ხუთი ტურის შემდეგ ორი ქულით მხოლოდ მე-15 ადგილზეა.

ატეველდის ნაცვლად მთავარი მწვრთნელის მოვალეობას მისი ყოფილი ასისტენტი მარტინ კოპმანი შეასრულებს.

## მეკარეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს

**ბელარუსის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კლუბ მინსკის მტზ-რიპო-ს გოლკიპერ ალექსანდრ სულიმას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მეკარემ თავი „ნაფტანთან" შეხვედრაში „ისახელა", როცა მატჩის არბიტრს ლამის თავს დაესხა. შედეგად, სულიმას ერთი წელი ფეხბურთის გარეშე მოუწევს ყოფნა.

## ჟულიუ ბაპტიშტა ჩელსისთვის ემზადება

**„რომას"** ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟულიუ ბაპტიშტა ტრავმირებულია და სამშობლოში, თავის ყოფილ კლუბ „სან პაულუში" რეაბილიტაციას გადის. ფეხბურთელს მარჯვენა ფეხის კუნთი აქვს დაზიანებული და, ექიმების განცხადებით, „ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

## ჰაჯი კეთილი ნების ელჩია

**ლეგენდარული** რუმინელი ფეხბურთელი გეორგე ჰაჯი გაეროს კეთილი ნების ელჩი გახდა. ამით „კარპატელი მარადონა" ისეთ ცნობილ ფეხბურთელებს შეუერთდა, როგორებიც არიან დევიდ ბექჰემი და ფრანჩესკო ტოტი. შეგახსენებთ, რომ ჰაჯი 2000 წელს რუმინეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

**არჩილ კობახიძე**

## ბუნდესგადარჩენის ხერხები

**ერთი მხრივ,** გერმანელი გულშემატკივარი ინგლისს შურის თვალით უყურებს და იმ დღეზე ოცნებობს, როდესაც მსოფლიოს საუკეთესო ვარსკვლავები მისი ქვეყნის გუნდებშიც ითამაშებენ, მეორე მხრივ კი... ო, მეორე მხარე ისეთია, თქვენი მოწონებული: ინგლისელი გულშემატკივრისგან განსხვავებით, მსოფლიო საფინანსო კრიზისის ფონზე გერმანელებს იმის შიში არ აქვთ, რომ მათი საყვარელი გუნდი გაკოტრდება და საერთოდ გაქრება. ერთი სიტყვით, სანამ პრემიერლიგის კლუბები ვალებში იხრჩობიან, ბუნდესლიგელები თავიანთ კანონებს მკაცრად მისდევენ და თავი ქუდში აქვთ.



საქმე ის არის, რომ გერმანული წეს-კანონის მიხედვით, ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ კლუბები, სადაც ჯერ არის, ანგარიშს აბარებენ და მომავალი სეზონისთვის საჭირო სერტიფიკატს იღებენ. გერმანიის საფეხბურთო კავშირი კი ამ სერტიფიკატების გაცემას საკმაოდ ფრთხილად უდგება — ყველა კლუბმა თავისი პლიუს მინუსი უნდა წარუდგინოს და დაუმტკიცოს, რომ გაკოტრება არ ემუქრება.

მაგალითისთვის ბერლინის „ჰერტას" ამბავი განვიხილოთ. ბერლინელებს ვალი აქვთ, 42,75 მილიონი დოლარი და ამის გამო გერმანული ფეხბურთის შეფები ახალ ჩემპიონატში თამაშის ნებას არ რთავდნენ. საბოლოოდ, „ჰერტამ" ასპარეზობის უფლება მიიპოვა, რადგან ბანკიდან გრძელვადიანი კრედიტის დამადასტურებელი ქაღალდი მიიტანა.

საინტერესოა, რომ გერმანულ კლუბებს, რომლებმაც წითელ ხაზს გადააბიჯეს, ახალი ფეხბურთელის ყიდვის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევათ, თუ მის წილ ვინმეს, დაახლოებით იმავე ფასში გაყიდიან. ერთი სიტყვით, გერმანიის საფეხბურთო კავშირს მისი ქვეყნის ყველა კლუბის სატრანსფერო დოკუმენტზე ხელი მიუწვდება და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დასჯის მექანიზმებსაც ფლობს — მაგალითად, გუნდისთვის ცხრილში ქულების დაკლება შეუძლია.

გარდა ამისა, არის წესი, რომლის თანახმადაც გერმანული კლუბის ვეროერთ მეწილეს 49 პროცენტზე მეტი ვერ ექნება. ეს იმის ნიშანია, რომ ბუნდესლიგაში რომან აბრამოვიჩის ტიპის მესაკუთრე და მმართველი ვერ გამოჩნდება. გერმანიის საფეხბურთო კავშირის მავანმა თანამშრომელმა დაინტერესებულ ინგლისელ ჟურნალისტებს განუცხადა:

| 18:00 | 47 | როსი-მორტონი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | ჰოკეი. NHL | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:00 | 500 | დეტროიტი-ტორონტო | 1.60 | 4.00 | 4.20 | 1.14 | 1.15 | 2.04 |
| 06:00 | 501 | კოლორადო-ბოსტონი | 2.20 | 3.90 | 2.55 | 1.40 | 1.18 | 1.54 |
| 06:30 | 502 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 2.15 | 3.80 | 2.60 | 1.37 | 1.17 | 1.54 |
| 06:30 | 503 | ვანკუვერი-კალგარი | 2.25 | 3.80 | 2.50 | 1.41 | 1.18 | 1.50 |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:00 | 504 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1.80 | 3.80 | 3.40 | 1.22 | 1.17 | 1.79 |
| 03:00 | 505 | კაროლინა-ფლორიდა | 1.90 | 3.80 | 3.15 | 1.26 | 1.18 | 1.72 |
| 03:00 | 506 | რეინჯერსი-ჩიკაგო | 1.80 | 3.80 | 3.35 | 1.22 | 1.17 | 1.78 |
| 03:30 | 507 | ბუფალო-მონრეალი | 2.25 | 3.80 | 2.50 | 1.41 | 1.18 | 1.50 |
| 03:30 | 508 | ატლანტა-ვაშინგტონი | 2.50 | 3.70 | 2.25 | 1.49 | 1.18 | 1.39 |
| 04:30 | 509 | სტ.ლუისი-ნეშვილი | 2.35 | 3.70 | 2.40 | 1.43 | 1.18 | 1.45 |
| 04:30 | 510 | დალასი-კოლამბუსი | 1.70 | 3.80 | 3.80 | 1.17 | 1.17 | 1.89 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 541 | ბრიუნესი-სიოდერტელიე | 1.80 | 4.20 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.78 |
| 18:00 | 542 | იურგორდენი-ფრიოლუნდა | 2.20 | 4.10 | 2.30 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 18:00 | 544 | აიკ-მოდო | 2.40 | 4.00 | 2.20 | 1.50 | 1.14 | 1.41 |
| 20:30 | 545 | ტიმრე-ფერიესტადი | 2.25 | 4.00 | 2.40 | 1.44 | 1.16 | 1.50 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 557 | ჰელსინკი-ტაპარა | 1.65 | 4.20 | 3.50 | 1.18 | 1.12 | 1.90 |
| 19:30 | 558 | ილვესი-კერპეტი | 2.20 | 4.20 | 2.30 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 19:30 | 559 | იუვესკიულე-ტურკუ | 1.35 | 4.50 | 5.50 | 1.03 | 1.08 | 2.47 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 572 | ტრჟინეცი-ვიტკოვიცე | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| 19:30 | 573 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 19:30 | 574 | ბოლესლავი-კარლოვი ვარი | 2.35 | 4.10 | 2.20 | 1.49 | 1.13 | 1.43 |
| 19:30 | 575 | კლადნო-ლიტვინოვი | 1.90 | 4.20 | 2.70 | 1.30 | 1.11 | 1.64 |
| 20:00 | 576 | სპარტა-ზლინი | 1.40 | 4.60 | 5.00 | 1.07 | 1.09 | 2.39 |
| 20:15 | 577 | სლავია-ზნოიმო | 1.35 | 4.80 | 5.30 | 1.05 | 1.07 | 2.51 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 591 | კეჟმაროკი-მიკულაში | 2.50 | 4.10 | 2.00 | 1.55 | 1.11 | 1.34 |
| 19:00 | 592 | ნიტრა-სკალიცა | 2.20 | 4.00 | 2.25 | 1.41 | 1.11 | 1.44 |
| 19:00 | 593 | ზვოლენი-სლოვაკია 20 | 1.12 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.75 |
| 19:30 | 594 | კოშიცე-ბისტრიცა | 1.25 | 5.00 | 6.30 | 1.00 | 1.04 | 2.78 |
| 19:30 | 595 | ტრენჩინი-პოპრადი | 1.65 | 4.10 | 3.25 | 1.17 | 1.09 | 1.81 |
| 20:00 | 596 | სლოვანი-ჟილინა | 1.27 | 5.00 | 6.20 | 1.01 | 1.05 | 2.76 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 604 | აუგსბურგი-ნიურნბერგი | 2.20 | 4.20 | 2.30 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 21:30 | 605 | დუისბურგი-მანჰაიმი | 3.60 | 4.50 | 1.60 | 2.00 | 1.10 | 1.18 |
| 21:30 | 606 | დიუსელდორფი-ჰამბურგი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 21:30 | 607 | ფრანკფურტი-კასელი | 1.55 | 4.50 | 4.00 | 1.15 | 1.11 | 2.11 |
| 21:30 | 608 | ინგოლშტადი-ვოლფსბურგი | 2.05 | 4.30 | 2.50 | 1.38 | 1.12 | 1.58 |
| 21:30 | 610 | სტრაუბინგი-კიოლნი | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 619 | ბიელი-ლანგნაუ | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 21:45 | 620 | დავოსი-რაპერსვილი | 1.25 | 5.50 | 6.30 | 1.01 | 1.04 | 2.93 |
| 21:45 | 621 | ლუგანო-ფრიბურგი | 1.80 | 4.30 | 2.90 | 1.26 | 1.11 | 1.73 |
| 21:45 | 622 | ამბრი-სერვეტი | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 21:45 | 623 | ბერნი-ცუგი | 1.40 | 4.50 | 4.80 | 1.06 | 1.08 | 2.32 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 748 | ვეტცლარი-მინდენი | 1.50 | 10.00 | 2.60 | 1.30 | 1.00 | 2.06 |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 749 | დორმაგენი-ნორდჰორნი | 5.00 | 10.00 | 1.16 | 3.33 | 1.00 | 1.03 |
| 17:00 | 750 | ფლენსბურგი-ესენი | 1.01 | 15.00 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 6.96 |
| 17:00 | 751 | მელსუნგენი-კილი | 10.00 | 15.00 | 1.03 | 6.00 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 752 | შტრალსუნდი-გუმერსბახი | 6.00 | 12.00 | 1.15 | 4.00 | 1.00 | 1.04 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 753 | გროსვალშტადტი-ლემგო | 2.25 | 8.50 | 1.70 | 1.77 | 1.00 | 1.41 |

# რუსი ქალი მოსკოვშიც კარგია

**კაცები**
მოსკოვი. რუსეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 049 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო** (1, რუსეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:1 6:1; **მიშა ზვერევი** (გერმანია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:2 2:6 6:1; **ვიქტორ ტროიცკი** (სერბეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (8, სერბეთი) 6:3 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — დენის ისტომინი (უზბეკეთი) 6:2 6:4; **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 6:3; **ჟერემი შარდი** (საფრანგეთი) — იგორ ანდრეევი (2, რუსეთი) 2:6 7:5 6:4

**კაცები**
სტოქჰოლმი. შვედეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 713 000 ევრო

**პირველი წრე**

**ჟორჟ ბასტლი** (შვეიცარია) — ფრედერიკ ნილსენი (დანია) 7:6 3:6 7:6; **ალბერტ მონტანესი** (7, ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3 4:6 6:3; **იარკო ნიემინენი** (3, ფინეთი) — ტომაზ ბელუჩი (ბრაზილია) 6:7 6:3 7:5; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ბიორნ რეჰკვისტი (შვედეთი) 6:2 6:1; **რობინ სოდერლინგი** (4, შვედეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 7:5 6:3

**კაცები**
ვენა. ავსტრია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 674 000 ევრო

**პირველი წრე**

**გაელ მონფილსი** (8, საფრანგეთი) — ალექსანდერ პეია (ავსტრია) 3:6 6:1 6:3

**მეორე წრე**

**ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:3 6:4; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ედუარდო შვანკი (არგენტინა) 6:2 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (2, ჩილე) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 4:6 7:6 6:1; **ფერნანდო ვერდასკო** (5, ესპანეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:1 6:2

**ქალები**
მოსკოვი. რუსეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 340 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ელენა დემენტიევა** (3, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:3 4:6 7:6; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:4 3:2 უარი; **ვერა ზვონარიოვა** (7, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:1 6:0; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ანა ივანოვიჩი (4, სერბეთი) 3:6 6:2 7:6; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — სარა ერანი (იტალია) 7:6 6:1; **დინარა საფინა** (2, რუსეთი) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:7 6:4 6:4

**კრემლის** თასის ქალთა გათამაშება თანდათან რუსეთის ჩემპიონატს უფრო ემსგავსება. მეოთხედფინალში უკვე ხუთმა რუსმა ჩოგბურთელმა გაინაღდა ადგილი და კიდევ ორს აქვს იქ მოხვედრის შანსი.

არადა, ტურნირზე საკმაოდ წარმომადგენლობითი შემადგენლობა იყო შეკრებილი, მაგრამ რად გინდა — საკუთარი ტრიბუნების წინ მოთამაშე რუსები არავის არ ინდობენ და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ტიტული ერთმანეთში გაითამაშონ.

ვინუს უილიამსის „საგმირო საქმეებზე" უკვე მოგახსენეთ, რომელიც ფლავია პენეტასგან მიიჩოგნა. გუშინ კი ამერიკელის გზას კიდევ ერთი ბობოლა, ანა ივანოვიჩი გაუყვა. ის დომინიკა ციბულკოვამ სამ სეტში დააჩოქა.

სერბი ლამაზმანი შესაშური სტაბილურობით აგრძელებს ამაზრზენად თამაშს და მის შემხედვარეს არ შეიძლება, კითხვა არ გაგიჩნდეს, თუ რანაირად შეძლო მან მაისში „როლან გაროსის" მოგება. სხვათა შორის, საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ ანა მინუსებშია — იქიდან მოყოლებული მხოლოდ 5 მატჩი მოიგო და 6-ჯერ მოასწრო წაგება. და ახლა უკვე ცოტა თუ იზიარებს ივანოვიჩის ოპტიმიზმს, რომელიც ამტკიცებს, მთავარია, ჯანმრთელი ვარ და ნელ-ნელა ფორმასაც დავიბრუნებო. სერბი ამას უკვე თვენახევარია ამბობს, მაგრამ პროგრესისა არაფერი ეტყობა.

სხვა მხრივ დღე მთლიანად რუსებისა იყო, რადგანაც მეოთხედფინალში საგზურები მიყოლებით გაინაღდეს ელენა დემენტიევამ, დინარა საფინამ, სვეტლანა კუზნეცოვამ, ვერა ზვონარიოვამ და ნადია პეტროვამ. ამათგან განსაკუთრებით თავი მაინც ზვონარიოვამ გამოიდო, რომელსაც თავისდა საუბედუროდ, დანიელა ჰანტუხოვა გადაეყარა და ისეთი მწარე ალიყური იწვნია, საეჭვოა, მალე დაავიწყდეს — სლოვაკმა მხოლოდ გეიმის მოგება მოახერხა.

ყველაზე მძიმე ბრძოლა კი საფინას გადახდა, რაც გასაკვირი არც არის, რადგანაც ამელი მორესმოს ხვდებოდა. ფრანგმა სეტიც ააცალა რუსს, მაგრამ დინარა წლეულს ადვილად არაფერს არ თმობს და ახლაც ბოლომდე იომა, რითაც ფრანგი მაგრად გათანგა და მეოთხედფინალის საგზურიც ცხვირწინააწაპნა.

ნაკლები წარმატებით თამაშობენ რუსი კაცები, რადგან მათ გუშინ ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადეს — წააგო მეორე ნომრად განთესილმა იგორ ანდრეევმა. მასპინძელთა ერთ-ერთი ფავორიტის გასილაქების მისია კი ახალგაზრდა ჟერემი შარდიმ აიღო. თავიდან ანდრეევმა უკეთ დაიწყო, მაგრამ ფრანგმა ნელ-ნელა გამოასწორა თამაში და გვარიანი წვალებით, მაგრამ მაინც იხეირა.

სამაგიეროდ პრობლემები არ ჰქონია ნიკოლაი დავიდენკოს, რომელიც თავის მეოთხე კრემლის თასის მოგებას უმიზნებს. თუ გამოუვიდა, შანსია, კოლია-ბატონმა ახლავე გაინაღდოს წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა და ალბათ გასაგებიცაა, რა მოტივაციით გადის კორტზე. სწორედ ამის ბრალი უნდა იყოს რუსის მიერ გილერმო გარსია-ლოპესის უმოწყალო მიბეგვა — დავიდენკომ 55 წუთი იმყოფინა და მხოლოდ ორი გეიმი დათმო.

საინტერესო შეხვედრები გაიმართა ვენაში, სადაც მეოთხედფინალის საგზური დიდი წვალებით გაინაღდა ფერნანდო გონსალესმა. სიმართლე ითქვას, ჩილელი წაგებასთან უფრო ახლოს იყო და ერნესტ გულბისს ცოტა მეტი გამბედაობა რომ ჰქონოდა და ოდნავ გამართლებოდა, სამხრეთამერიკელს დაიფრენდა კიდეც. ახალგაზრდა ლატვიელს 5 მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ნაწილობრივ საკუთარი შეცდომების, ნაწილობრივ გონსალესის ბრძოლისუნარიანობის გამო ყველა გაანიავა. ამის შემდეგ კი გულბისი მორალურად გატყდა და ჩილელს აღარ გასჭირვებია მესამე სეტში საქმის მოთავება.

ნაკლებ პრობლემებს, უფრო სწორად თითქმის არანაირ წინააღმდეგობას არ გადაწყდომია ფერნანდო ვერდასკო გილემო კანასთან შეხვედრაში. არგენტინელმა იმდენიც ვერ მოახერხა, რომ სამარცხვინო მარცხი აეცილებინა თავიდან და ესპანელს გამარჯვება თითქმის უბრძოლველად ჩააბარა.

სტოქჰოლმური ამბებიდან იქაურების უპირველეს მეჩოგნე რობინ სოდერლინგის წარმატებაზე ვთქვათ. შვედი ბენჯამინ ბეკერს გაუსწორდა და ახლა 5 წლის წინანდელის გამეორებას უმიზნებს, როცა სამშობლოში ფინალში ითამაშა.

**კახა ლომჯარიძე**


ფერნანდო გონსალესი



ეროვნული ბიბლიოთეკა



შტეფან შუმახერის დოპინგ-სკანდალს გაგრძელება ექნება

# გამოCERAვება გრძელდება

**პეკინურ** ოლიმპიურ თამაშებზე ერთი ჩრდილოეთ კორეელი მსროლელის შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, ფაქტობრივად არ ყოფილა ხმაურიანი დოპინგ-სკანდალები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა და თამაშების ორგანიზატორებმა სიამაყით აღნიშნეს კიდეც, პეკინის ოლიმპიადა ყველაზე „სუფთა" ოლიმპიადა იყოო, მაგრამ, როგორც ჩანს, არც მთლად ასე მარტივად და სუფთად არის საქმე.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, პეკინის თამაშების დროს სპორტსმენებისგან აღებული სინჯები ხელახლა გადაამოწმოს. ამის მიზეზი კი ახალი თაობის ერითროპოეტინი CERA გახლავთ, რომელიც წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე" აღებული დოპინგ-სინჯების გადამოწმების დროს ისეთი ცნობილი ველომრბოლების ანალიზებში აღმოჩნდა, როგორებიც იტალიელი ლეონარდო პიეპოლი და გერმანელი შტეფან შუმახერი არიან.

ამავდროულად, როგორც საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს მავანმა წარმომადგენელმა განაცხადა, კვლავაც გრძელდება წლევანდელ „ტურზე" აღებული ანალიზების გადამოწმება და არ არის გამორიცხული, კიდევ რამდენიმე სინჯმა მოგვცეს დადებითი პასუხი. „განმეორებითი ტესტები ჯერ არ დასრულებულა, ამიტომაც საბოლოო შედეგების შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, ერთი-ორი ტესტის პასუხი ალბათ დადებითი იქნება — ბრძანა ფრანგული ანტისადოპინგო სამსახურის წარმომადგენელმა და იქვე მკაცრი ტონით დაამატა — დაე ყველამ, ვინც „ტურზე" არაპატიოსანი გზით მოინდომა წარმატების მიღწევა, იცოდეს, რომ მართლმსაჯულებას ვერ გაექცევიან".

აი, ამ ყველაფრის შემდეგ სოკ-იც დაფაცურდა და პეკინში აღებული ანალიზების გადამოწმება მოინდომა. „შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა CERA-ს ტიპის ერითროპოეტინს, რომლის აღმოჩენაც ახალი ტიპის ტექნოლოგიებით გახდა შესაძლებელი, თუმცა არც სხვა აკრძალულ პრეპარატებს დავივიწყებთ. ყველა ეს სინჯი, რომელიც პეკინში იქნა აღებული, ახლა ლოზანაში, მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს ლაბორატორიაშია და ამ წუთისთვის ჩვენ ანალიზების გადამოწმების ტექნიკურ დეტალებს ვაზუსტებთ" — ნათქვამია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლის ემანუელ მოროს განცხადებაში.

# ჯოხი ბორბალზე არ უნდა გადატყდესო

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, გერმანელმა ტომას ბახმა ბრძანა, სოკ-ში იმედგაცრუებას ვერ ვმალავთ იმ გაუთავებელი დოპინგ-სკანდალების გამო, ველორბოლის სამყაროში რომ ხდება და არ არის გამორიცხული, ველოსპორტი ოლიმპიური პროგრამიდან ამოვიღოთო.

„მუდმივი სადოპინგო სკანდალ-ები სპორტის არც ერთ სახეობას არ ალამაზებს — განაცხადა ბახმა — უკანასკნელმა დისკვალიფიკაციებმა (იგულისხმება იტალიელი ლეონარდო პიეპოლისა და გერმანელი მიხაელ შუმახერის დოპინგ-სკანდალები) ველოსპორტის მიმართ ნდობა ძალზე შეარყია. თანაც, როდესაც დამნაშავეები შუმახერისა და პიეპოლის მსგავსი ცნობილი სპორტსმენები არიან, კიდევ უფრო მიანიშნებს იმაზე, რომ ველორბოლაში საქმე კი არ უმჯობესდება, კიდევ უფრო უარესდება. თუ სიტუაცია უახლოეს მომავალში არ გამოსწორდა, არ არის გამორიცხული, ველორბოლა დროებით ამოღებულ იქნას ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან".

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის ამ განცხადებამ, ბუნებრივია, ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (UCI) განაწყენება გამოიწვია. „ვფიქრობ, რომ ბახის გამოსვლა გაუმართლებელია. მესმის, რომ ის გერმანელია და დამწუხრებულია შუმახერის ირგვლივ აგორებული სკანდალის გამო, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ მარტო ველოსპორტი არ არის დოპინგით დაავადებული. სხვა ბევრ სახეობასაც აზანზარებს სკანდალები. ამიტომაც, იმის მაგივრად, რომ ჯოხი ველორბოლაზე გადავტეხოთ, აჯობებს, უფრო გავამკაცროთ სპორტულ სამყაროში მყოფი აფერისტების წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში რომ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი ერთ-ერთი ფლაგმანია, ეს არავისთვის არ გახლათ უცხო" — განაცხადა UCI-ის ირლანდიელმა პრეზიდენტმა პიტერ მაკუეიდმა.




# გადაწყდა: არმსტრონგი ავსტრალიით დაიწყებს

თითქმის ყოველდღე გვიხდება ლენს არმსტრონგის გვარის ხსენება, მაგრამ ვერსად გავექცევით — არმსტრონგი ველორბოლისა და მთლიანად სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ლეგენდარული ფიგურაა, „ტურ დე ფრანსის" მიჯრით შვიდჯერ მომგები მრბოლი და როდესაც ასეთი კაცი იტყვის, სამწლიანი შესვენების შემდეგ აქტიურ სპორტს ვუბრუნდებიო, ძალაუნებურად გიწევს მის შესახებ ლაპარაკი.

დიახ, არმსტრონგი დაბრუნდა და მომავალ წელს ლუქსემბურგში დარეგისტრირებული ყაზახური ველოგუნდის „ასტანას" ღირსებას დაიცავს, რომლის ხელმძღვანელიც ბელგიელი იოჰან ბრიუნელია, სწორედ ის, ვინც არმსტრონგის დროინდელ ამერიკულ „დისქავერის" თავკაცობდა.

ამერიკელმა უკვე შეადგინა თავისი საგაისო განრიგი, რომელშიც უმთავრესი ადგილი, რაღა თქმა უნდა „ტურ დე ფრანსს" უკავია, ხოლო თუ თანმიმდევრობით მივყვებით, არმსტრონგის სიაში პირველ ნომრად 20-25 იანვარს ავსტრალიაში გასამართი „ტურ დაუნ ანდერია". აი, სწორედ აქ წააწყდა დიადი ლენსი პრობლემას — ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის (UCI) რეგლამენტის თანახმად, პროფესიონალ მრბოლს, რომელიც აქტიურ სპორტში დაბრუნებას გადაწყვეტს, განცხადების გაკეთებიდან ექვსი თვის შემდეგ შეუძლია UCI-ის ეგიდის ჩატარებულ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება. არმსტრონგის შემთხვევაში კი ეს ნახევარწლიანი ვადა 2009 წლის 1 თებერვალს გადის, ანუ ავსტრალიური რბოლის დასრულებიდან სამი დღის შემდეგ.

სწორედ ამიტომ იყო, ლენსმა რომ თქვა, კავშირის ყველანაირ გადაწყვეტილებას დავეთანხმები, მაგრამ იქნებ ანგარიში გამიწიონ, ექვსთვიანი ვადა ათიოდე დღით შემიმცირონ და ავსტრალიაში რბოლის ნება მომცენო.

მისცეს — ველოსიპედსტთა საერთაშორისო კავშირმა დააკმაყოფილა ლეგენდარული მრბოლის თხოვნა და ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ — ლენს არმსტრონგი სამწლიანი შესვენების შემდეგ დიდ ველოსპორტში გაისად 22 იანვარს დაბრუნდება, როდესაც ავსტრალიაში ექვსდღიანი „ტურ დაუნ ანდერი" აიღებს სტარტს.

ჭადრაკი

# ფული არის, ჩემპიონიც იქნება


ვლადიმირ კრამნიკი


ვიშვანათან ანანდი

ყველაფერი იქით მიდის, რომ საჭადრაკო სამყაროში არსებულ ანარქიას მალე ბოლო მოეღება და მსოფლიოს ერთი და ნამდვილი ჩემპიონი ეყოლება.

ყველაფერი მას შემდეგ აირია, რაც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ მისი ყალმუხი თავკაცის კირსან ილუმჟინოვის ინიციატივით სამატჩო შეხვედრები უარყო და მსოფლიოს ჩემპიონის ნოკაუტ-სისტემით გამოვლენა გადაწყვიტა. ამ დროისთვის ვლიდმირ კრამნიკს უკვე დამარცხებული ჰყავდა გარი კასპაროვი, მაგრამ რადგანაც ეს მატჩი ფიდე-ს ეგიდით არ ჩატარებულა, ფედერაცია კრამნიკს მსოფლიოს მე-14 ჩემპიონად ოფიციალურად არ აღიარებდა. ამასობაში ნოკაუტ-სისტემით, ვისაც არ დაეზარა, ყველა გახდა ჩემპიონი. მათ შორის, ანატოლი კარპოვისა და ვიშვანათან ანანდის დარი ასებიც და მავანი ხალიფმანები და პონომარიოვებიც.

აი, ამ სრული ქაოსიდან გამოსვლა ნელ-ნელა დაიწყო და თითქოს გამოსავალი კრამნიკისა და ვესელინ ტოპალოვის მატჩი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ტუალეტის სკანდალებით" ცნობილმა შეხვედრამ კიდევ უფრო არივ-დარია სურათი.

და აი, ამ სკანდალური მატჩის შემდეგ ჩატარებული საკმაოდ რთული შესარჩევი ციკლის შემდეგ თითქოს ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მიდის. კერძოდ კი ასეთი სურათია — ანანდმა მოიგო ტოპალოვის გარეშე ჩატარებული საჩემპიონო ტურნირი, რომელშიც რვა მოჭადრაკე, მათ შორის, კრამნიკიც მონაწილეობდა, ხოლო პარალელურად, კარგა ხნის წინათ რუსეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულმა გატა კამსკიმ მსოფლიოს თასზე იმარჯვა. ფიდე-ს მიერ 1 ივნისს ათენში მიღებული გადაწყვეტილებით, ანანდი კრამნიკს უნდა შეხვდეს, ხოლო კამსკი — ტოპალოვს და ამ მატჩებში გამარჯვებულები კი გამაერთიანებელ საჩემპიონო შეხვედრაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ანანდ-კრამნიკის მატჩი 14 ოქტომბერს დაიწყება და მისი საპრიზო ფონდი 1 200 000 ევრო იქნება. რაც შეეხება კამსკი-ტოპალოვის დაპირისპირებას, კირსან ილუმჟანოვის განცხადებით, მისი საპრიზო ფონდი 750 000 დოლარი იქნება და ეს შეხვედრაც უახლოეს მომავალში ჩატარდება, რის შემდეგაც, უკვე გამაერთიანებელი საჩემპიონო მატჩის სავარაუდო თარიღსა და საპრიზო ფონდზეც შეიძლება ლაპარაკის დაწყება.



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# მარტივი არითმეტიკა ფერარის დუბლისთვის დუბლები სჭირდება

სამ რბოლაში სამი დუბლი, ანუ ამ უქმეებზე იაპონიაშიც და შემდეგ ჩინეთსა და ბრაზილიაშიც პირველ-მეორე ადგილები ფელიპე მასამ და კიმი რაიკონენმა უნდა დაიკავონ — აი, ასეთია „ფერარის" საჩემპიონო პროგრამა 2008 წლის საპირველფორმულო ჩემპიონატის დასკვნითი სამი ეტაპისთვის.

„სკუდერია" ბოლო, სინგაპურულ ეტაპზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და გამოსავალი, სწორედ სამი დუბლია. უბრალო არითმეტიკა მოვიშველიოთ — პილოტთა გენერალურ კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყოფი „მაკლარენ-მერსედესის" ინგლისელი მრბოლი ლუის ჰემილტონი 7 ქულით უსწრებს მასას, ხოლო გუნდურ ჩათვლაში იგივე „მაკლარენი" „ფერარიზე" ერთი ქულით წინაა. არადა, იტალიურ საჯინიბოს ორივე ტიტულის მოგება სწყურია და თუ კონსტრუქტორთა თასზე პირველობა რეალურია, პირად ჩათვლაში მასას სამივე დიდი პრიზის მოგებაც კი არ ეყოფა, თუ სამივე შემთხვევაში ფინიშთან მეორე ჰემილტონი იქნება. აი, ასეა — მასასა და ჰემილტონს შორის ვიღაც უნდა ჩადგეს და ეს ვიღაც სხვა ვინ უნდა იყოს, თუ არა ჯერაც მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი რაიკონენი.

ურთულესი ამოცანაა, მაგრამ „ფერარის" სპორტული დირექტორი სტეფანო დომენიჩალი დარწმუნებულია, რომ ფელიპესა და კიმის ძალუძთ ამ ამოცანის შესრულება.

„უკვე სინგაპურის ღამის რბოლის შემდეგ ვთქვით, რომ ჩვენი მიზანი როგორც იაპონიაში, ისე შემდეგ ორ რბოლაშიც ის იქნება, რომ ქულათა მაქსიმუმი მოვიპოვოთ — ბრძანა დომენიჩალიმ და დაამატა — ეს უბრალო სიტყვები არ გეგონოთ. ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ჩვენ გვაქვს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი პოტენციალი და მჯერა, რომ შეგვიძლია ამ ამოცანას თავი გავართვათ. სინგაპურის შემდეგ ჩვენი შანსები მკვეთრად დაეცა, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ და არც იმ შეცდომებს გავიმეორებთ, რომლებიც სინგაპურში დავუშვით".

თავისი შეფის მსგავსად, საბრძოლველადაა განწყობილი ფელიპე მასაც. „მე ერთი რამის გარანტია შემიძლია მოგცეთ — განუცხადა ბრაზილიელმა ჟურნალისტებს — ჩვენ ბოლომდე არ დავნებდებით. ჯერ კიდევ 30 ქულაა გასათამაშებელი და ვიბრძოლებთ ჩემპიონატის უკანასკნელი რბოლის უკანასკნელ წრემდე. აი, ის ერთადერთი, რისი თქმაც ამ მომენტისთვის შემიძლია".

თუმცა ფელიპემ სხვა რამეც თქვა. კერძოდ ის, თუ რას ნიშნავს პირადად მისთვის და მთელი ბრაზილიისთვის მსოფლიოს ჩემპიონობა: „გავხდე მსოფლიოს ჩემპიონი, ეს ბავშვობის ოცნების ასრულებაა. ბრაზილიაში საჩემპიონო თამასა უაღრესად დიდ, აირტონ სენას სიმაღლეზეა. სენას შემდეგ ბრაზილიას ჩემპიონი აღარ ჰყოლია და ის კი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მრბოლია. გრანდიოზული იქნება, თუ ტიტულს მოვიპოვებ, მაგრამ საამისოდ, ჯერ იაპონიაში უნდა მოვახერხო ჰემილტონთან არსებული ჩამორჩენის შემცირება".

**კახა ლომაძე**



ფელიპე მასა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა სარგებლობა მოაქვს ლეგიონერს?

## რუსთავის ენერგიული ინვესტიცია

**სულ რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს ჩემპიონ „ენერჯი-ინვესტს" სამი ლეგიონერი შეუერთდა — ამერიკელი პოლ მაკფერსონი, სერბები — ნიკოლა რადიჩიჩი და ბოიან ვუკადინოვიჩი. გუშინ ამ კალათბურთელების პრესკონფერენცია გაიმართა „სპორტ კაფეში", რომელსაც ამ მოთამაშეების ჩამომყვანი, ფიბა-ს აგენტი ლევან მიქელაძე, „ენერჯი-ინვესტის" მწვრთნელი დავით უსტიაშვილი უძღვებოდნენ...**

**დავით უსტიაშვილი:**

— ამ კალათბურთელების შესახებ ჩემი აზრის გაზიარებას დავიწყებ პოლ მაკფერსონით, რომელსაც საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს ნათამაშები ნბა-ში და ასევე რამდენიმე საკმაოდ კარგ ევროპულ გუნდში. წესით, ეს კალათბურთელი ძალიან უნდა გამოგვადგეს ევროთასზე. მას ყველანაირი მონაცემები აქვს და დიდ დახმარებას გაგვიწევს, რაც გუშინ რუსთავში „დინამოსთან" გამართულ შეხვედრაშიც დაადასტურა. ამერიკელთან ერთად ორი სერბი მოთამაშეც დავიმატეთ, გუშინ მათაც კარგად ითამაშეს და არც ვარჯიშებზე ტოვებენ ცუდ შთაბეჭდილებას.

**ნიკოლა რადიჩიჩი:**

— საქართველო კარგი ქვეყანა ყოფილა, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ აქ მომიწია ჩამოსვლა. ამ ორ დღეში უკვე შევნიშნე, რომ ძალიან ნიჭიერი კალათბურთელები გყავთ, რაც მთავარია, ბევრი მათგანი ახალგაზრდაა და მომავალში კიდევ უფრო მოუმატებს. პირადად მე დიდი იმედი მაქვს, რომ ევროთასის მატჩებში წარმატებას მივაღწევთ. ჩვენი გუნდის შემადგენლობა ამის თქმის საშუალებას მაძლევს.

**ბოიან ვუკადინოვიჩი:**

— ნიკოლას ნათქვამს ბევრს ვერაფერს დავამატებ. პირობას გაძლევთ, წარმატების მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ.

ვნახე ჩვენი გუნდი, ვივარჯიშე და ვითამაშე ამ ბიჭებთან ერთად და შემიძლია, ვთქვა, რომ დიდი შანსი გვაქვს, წარმატებას მივაღწიოთ. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ ვართ ახლა საქართველოში. წასაგებად არ ჩამოვსულვართ. მთავარია, ამ რამდენიმე დღეში გუნდმა, შეთამაშება მოასწროს.

**პოლ მაკფერსონი:**

— არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ საქართველოს შესახებ ფაქტობრივად არაფერი ვიცოდი. ისიც კი არ ვიცოდი, რომ თქვენ რუსეთთან სულ ცოტა ხნის წინ ომი გქონდათ. როდესაც მითხრეს, სად მოვდიოდი, წარმოვიდგინე, რომ აქ სიცივე იქნებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა და თავი ძალიან კარგ ქვეყანაში ამოვყავი.

ჩემი საქმე კალათბურთის თამაშია და გპირდებით, რომ ამ მხრივ არაფერს დავიშურებ. ვნახე „ენერჯი-ინვესტი" და მომეწონა. ამ ბიჭებთან ერთად ერთი შეხვედრა უკვე ჩავატარე, უკმაყოფილებას საბაბი ნამდვილად არ მაქვს. ნიჭიერი და ახალგაზრდა მოთამაშეები ჩვენს გუნდში მრავლად არიან. ერთი რამ ვიცი, ჩვენი შემადგენლობით ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია. წარმოდგენა არ მაქვს, რა დონის გუნდს ვეთამაშებით ევროთასზე. მთავარია, რომ უნდა მოვუგოთ.

*ამის შემდეგ სამივე კალათბურთელს მისამართით, ერთი საერთო შეკითხვა დაისვა — რა დონეა ქართულ კალათბურთში?*

**ბოიან ვუკადინოვიჩი:**

— ორი დღის მანძილზე, რაც ვნახე, შემიძლია ვთქვა, რომ კარგი დონეა, გუნდები ლამაზ კალათბურთს თამაშობენ. ნიჭიერი მოთამაშეები არ გაკლიათ, ერთადერთი პრობლემა ორგანიზებაა. როცა ესეც იქნება, ყველაფერი კიდევ უფრო წინ წავა. თქვენ გაქვთ შესანიშნავი ბაზა, რომელზეც შეგიძლიათ ააგოთ ყველაფერი. სწორი მუშაობაა საჭირო. ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სერბი იგორ კოკოშკოვია, ის ძალიან ნიჭიერი კაცია და დარწმუნებული ვარ, მოახერხებს თქვენი ნაკრები A დივიზიონში აიყვანოს.

**ნიკოლა რადიჩიჩი:**

— საქართველოში ვნახე კარგი მოთამაშეები. ვნახე ანატოლი ბოისა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გავიცანი. შემიძლია ვთქვა, ყველაფერი წინა პირობა გაქვთ სპორტის ამ სახეობაში რომ დიდ წარმატებას მიაღწიოთ.

**პოლ მაკფერსონი:**

— საქართველოში იმაზე დაბალი დონეა, სადაც მე ვთამაშობდი. ნამდვილად ვერ შევადარებ ვერც იტალიას და ვერც საფრანგეთს. სამაგიეროდ, ინდივიდუალური თვალსაზრისით, კარგი მოთამაშეები გყავთ. სხვა კლუბები ჩემი საქმე არ არის, მე ჩემი თანაგუნდელები მაინტერესებს. მიხარია, რომ კარგ გუნდში მოვხვდი, სადაც წარმატების მიღწევა შესაძლებელია.

პრესკონფერენცია **დავით უსტიაშვილმა** დაასრულა:

— კარგი ლეგიონერები დაგვემატნენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ევროთასზე ჩვენი მეტოქე უკრაინული „სუმიხიმპრომი" ძალიან კარგი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული და მათაც ჰყავთ მაღალი დონის ლეგიონერები. თუმც ვიცი ერთი რამ, საქართველოში ნებისმიერ გუნდთან გვაქვს გამარჯვების შანსი. ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მისაღწევად. მთავარია, სპორტის სასახლეში მაყურებელი მოვიდეს და მხარი დაგვიჭიროს.

**გიორგი არაბული**

**პოლ ლოურენს მაკფერსონი**
**სიმაღლე:** 193 სმ
**დაბადების თარიღი:** 3 ივლისი 1978
**ამპლუა:** მსროლელი, მცირე ფორვარდი
**ეროვნება:** ამერიკელი

**კარიერა**

1996-1997: დე პოლის უნივერსიტეტი (NCAA): 11.2 ქულა, 4.6 მოხსნა, 1.7 პასი
1998-1999: დე პოლის უნივერსიტეტი (NCAA):16.3 ქ, 5.7 მ, 2.3 პ
1999-2000: დე პოლის უნივერსიტეტი (NCAA):18.0 ქ, 6.9 მ, 2.1 პ
2000-2001: ფინიქს სანსი (NBA): 3.4 ქ, 1.5 მ, 1.2 პ
2001-2002: გოლდენ სტეიტ ვორიორსი (NBA): 6.8 ქ, 1.4 მ, 1.0 პ
2002-2003: იაკიმა სან კინგსი (CBA): 17.2 ქ 5.9 მ, 2.6 პ (ლიგის ფინალისტი)
2003-2004: ლეგენდარული ჰარლემ გლოუბტროტერსის წევრი
2004-2005: რეჯიო ემილია (იტალია სერია A): 10.3 ქ, 3.1 მ, 1.1 პ (იტალიის თასის ფინალისტი)
2005-2006: ვილაჯიო სოლიდაგო ლივორნო (იტალია სერია — ა): 11.7 ქ, 3.6 მ, 1.6 პ (იტალიის ყველა ვარსკვლავი)
2006-2007: ვილაჯიო სოლიდაგო ლივორნო (იტალია სერია A) 13.0 ქ, 3.6 მ, 1.8 პ (ჩატენვების კონკურსში გამარჯვებული)
2007-2008: ჰეირნეს ტულონ ბასკეტ (საფრანგეთი: 12.2 ქ, 2.1 მ, 1.4 პ (საფრანგეთის თასის ნახევარფინალი)

**ბოიან ვუკადინოვიჩი**
**სიმაღლე:** 205 სმ
**დაბადების თარიღი:** 30 მაისი 1978
**ამპლუა:** ფორვარდი
**ეროვნება:** სერბი

**კარიერა**

2000-2001: პანიონიოსი (საბერძნეთი): 6.2 ქულა, 2.3 მოხსნა, 1.3 პასი
2001-2002: პანიონიოსი (საბერძნეთი): 11,2 ქულა, 3.8 მოხსნა, 1.3 პასი
2002-2003: მლადოსტ გაჩკო (ბოსნია): 12.5 ქულა, 3.7 მოხსნა, 1.3 პასი
2003-2004: კახასოლი: (ესპანეთი): 6.8 ქულა, 3.6 მოხსნა, 1.0 პასი
2004-2005: ანიბალ ზალე (ლიბანი): 21.5 ქულა, 10.2 მოხსნა, 3.3 პასი
2005-2006: ანიბალ ზალე (ლიბანი): 18.5 ქულა, 11.8 მოხსნა, 2.9 პასი
2006-2007: ბალკან ბოტევგრად (ბულგარეთი): 13.2 ქ 4.9 მ, 1.1 პასი
2007:2008: ეთა ინტერკოლეჯი (კვიპროსი): 15.0 ქ, 4.5 მ, 1.0 პ

**ნიკოლა რადიჩიჩი**
**სიმაღლე:** 196 სმ
**დაბადების თარიღი:** 9 ოქტომბერი 1986
**ამპლუა:** მსროლელი
**ეროვნება:** სერბი

**კარიერა**

2000-2004: ცრვენა ზვეზდა (სერბეთი
2004-2005: ბუდოჩნოსტი (სერბეთი): 20.0 ქულა, 4.3 მოხსნა, 8.5 პასი (ახალგაზრდული გუნდი)
2005-2006: სპისკა ნოვა ვესი (სლოვაკეთი): 10.6 ქ, 2.1 მ, 4.7 პ
2006-2007: ჰელიოსი (სლოვენია): 8.4 ქ, 1.3 მ, 3.8 პ (სლოვენიის ლიგის ფინალისტი)
2007-2008: რაპიდ ნეოსეტ ბუხარესტი (რუმინეთი): 15.3 ქ, 2.7 მ, 4.7 პ

### დუდუ დადიანის მემორიალი

# დღეს ფინალია

**სასოფლო 80:70 თბილავიამშენი**
**თსუ 105:101 დინამო**
**ენერჯი-ინვესტი 97:77 ნტდ**

**გაირკვა** დუდუ დადიანის მემორიალის ფინალისტების ვინაობა. პირველი რომ რუსთავის „ენერჯი-ინვესტი" იყო, ეს ერთი დღით ადრეც ვიცოდით.

მეორე ფინალისტი კი სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტისა და „თბილავიამშენის" დაპირისპირებაში გადაწყდა — სულ ცოტა ხნის წინ შექმნილმა „სასოფლომ", რომელსაც მიხეილ კობეშავიძე წვრთნის, 10 ქულით დაამარცხა მეტოქე.

ფინალური დაპირისპირება რუსთავში დღეს 17 საათზე დაიწყება. მანამდე კი 2 შეხვედრაა, მე-5 ადგილისთვის: „დინამო" — „მაქაბი", მე-3-თვის კი: თსუ — „ავიამშენი".

# ტარტუმ კალევთან როკი ვერ დაუკრა

**ესტონეთის** თასის გათამაშებაში დამარცხდა გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ტარტუს „როკი". ბალტიის თასზე „ლიეტუვოს რიტასთან" მოგების შემდეგ ამ წაგებას ნამდვილად არავინ ელოდა.

განსაკუთრებული ვერაფერი გააკეთა „როკერთა" გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ, მისგან ჩვენც და მისი გუნდის გულშემატკივრებიც ბევრად მეტს ველოდით, თუმც ამჯერად მას თამაში არ წაუვიდა.

შედარებით უკეთ ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ. თანაგუნდელთა შორის ის ერთ-ერთი საუკეთესოც იყო, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

„როკის" წაგების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მის შემადგენლობაში მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა შეძლო — 10 ქულის, მეორემ კი 14 ქულის დაგროვება. ამ დროს დედაქალაქელთა მხრიდან ათი და მეტი ქულა ხუთმა მოთამაშემ მოიწაგრა.

**როკი 64:75 კალევი**

**გიორგი ცინცაძე:** *30 წუთი, 7 ქულა, 5 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაკარგვა. 5 პერსონალური შენიშვნა, 6-დან 2 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო.*

**ვიქტორ სანიკიძე:** *15 წუთი, 8 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაკარგვა, 4-დან 2 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო.*

**გიორგი არაბული**

რაგბი

# შინაური რაგბი მეორედ დათარიღდა


ბადრი კეთილაძის ფოტო

XI ტური 10 ოქტომბერი
აია — აკადემია
ლოკომოტივი — ლელო
თსუ — ვისოლი-ყოჩები
არმაზი — დინამო
XII ტური 15 ოქტომბერი
აკადემია — ლოკომოტივი
ლელო — თსუ
ვისოლი-ყოჩები — არმაზი
დინამო — აია
XIII ტური 20 ოქტომბერი
დინამო — აკადემია
თსუ — ლოკომოტივი
არმაზი — ლელო
აია — ვისოლი-ყოჩები
XIV ტური 25 ოქტომბერი
აკადემია — თსუ
ლოკომოტივი — არმაზი
ლელო — აია
ვისოლი-ყოჩები — დინამო
პლეი ოფი
30 ოქტომბერი
I ტური
4 ნოემბერი
II ტური
9 ნოემბერი
ფინალი
საქართველოს თასის გათამაშება
16 ნოემბერი
ლელო — ლოკომოტივი
ვისოლი-ყოჩები — აკადემია
22 ნოემბერი
ლოკომოტივი — ლელო
14 დეკემბერი
თასის ფინალი

**საქართველოს** რაგბის კავშირმა წლევანდელი სეზონის, საქართველოს ჩემპიონატისა და თასის განახლებული განრიგი გამოაქვეყნა. ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაწყობილ-დამტკიცებულ კალენდარში ცვლილებების შეტანა აუცილებელი გახდა.

აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, ჩემპიონატის დაწყების განრიგი აირია, მერე კი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების თამაშის გამო ორკვირიანი პაუზა გამოცხადდა. ამ ყველაფერმა კალენდარი არია და კავშირმაც ახლა დაალაგა.

ახალი განრიგით საქართველოს ჩემპიონატი ნოემბერში მთავრდება, სეზონი კი თასის ფინალით, სუსხიან დეკემბერში დასრულდება.

ჩოგბურთი


მანანა შაფაქიძე

# ალექსანდრე მეტრეველმა საქართველო წყვილად მოიგო

**ლეილა მესხის** საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე საქართველოს 2008 წლის ჩემპიონატი ნელ-ნელა ფინიშისკენ მიდის.

ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალში გიორგი ხრიკაძემ, ვინც პირველ ნომრადაა მიჩნეული, მესამე ნომრად განთესილი გიორგი რევაზიშვილი 6:2 6:3 დაამარცხა და ფინალში ალექსანდრე თავხელიძეს შეხვდება. თავხელიძემ კი, თავის მხრივ, ურთულეს დაპირისპირებაში სოზარ გოქაძის ჯობნა მოახერხა 6:2 4:6 6:2.

რაც შეეხება გოგონების შეჯიბრს, ფინალისტები აქაც გამოვლინდნენ. ერთ მხარეს ფინალის საგზურს მანანა შაფაქიძე და ნინო მებუკე ეცილებოდნენ. შაფაქიძემ მეტოქე უშანსოდ დატოვა 6:0 6:0 მოუგო.

მეორე ნახევარფინალშიც არ ყოფილა დიდი ბრძოლა. ანა ჯიქიამ მაგდა ოქრუაშვილი 6:0 6:4 დაამარცხა და ფინალში გავიდა.

დღეს გოგონებიც და ბიჭებიც საქართველოს 2008 წლის ჩემპიონებს გამოავლენენ.

თუ ერთეულთა შეჯიბრში ჩემპიონები დღეს გამოვლინდება, წყვილებში ჩემპიონები უკვე ვიცით — ქალთა ფინალში მანანა შაფაქიძისა და ანა ჯიქიას დუეტმა დიანა დავითაიასა და ნინო მებუკის წყვილს 6:3 6:2 მოუგო.

კაცებში ალექსანდრე მეტრეველისა და გიორგი რევაზიშვილის წყვილმა 6:4 6:3 გიორგი ხრიკაძე და სოზარ გოქაძე დაამარცხა.

**ნიკა ძოწაძე**

# ჩახნაშვილის საფრანგეთი დამთავრდა

**ქართველი** ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი ფრანგულ ჟუ-ლე-ტურში 50 ათას-დოლარიან ტურნირზე პირველივე წრეში გადაულახავ ბარიერს წააწყდა და ტურნირის მეორე ნომერ ჩეხ პეტრა ჩეტკოვსკასთან სამ სეტში 3:6 6:1 3:6 დამარცხდა.

ქართულ-ჩეხურმა დაპირისპირებამ საათსა და 52 წუთს გასტანა. ქართველმა სამი ეისი გააკეთა და ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა. 13 ბრეიკ-პოინტიდან კი 7 გამოიყენა, თუმც მაინც ვერაფერს გახდა...

**ნიკა ძოწაძე**


მაკა ჩახნაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

კარატე

# ოქრო და ბრინჯაო თავისუფალ ჩხუბში

**3-5 ოქტომბერს** ბუქარესტში საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ინდივიდუალურ ბრძოლებში ერთი ოქროს და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გუნდურ კუმიტეში კი ჩვენებმა მე-3 ადგილს უწიეს.

ჯიუ-კუმიტეში, ანუ თავისუფალ ორთაბრძოლაში ოქროს მედალი მოინაგრა ლევან გორელაშვილმა. ამავე სახეობაში მესამე ადგილსა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ირაკლი ტყებუჩავა. გუნდურ კუმიტეში კი ლევან გორელაშვილმა და ძმებმა ირაკლი და დათო ტყებუჩავებმა იჩხუბეს. ამასთან დაკავშირებით გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ ისაუბრა.



კახა ბასილია

**კახა ბასილია:** კმაყოფილი ვარ საქართველო ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგით. ჩვენთვის ასეთ რთულ ტურნირზე მოპოვებული ნებისმიერი ხარისხის მედალი მნიშვნელოვანია. შედეგებს შეჯიბრიდან შეჯიბრამდე ვაუმჯობესებთ და გარწმუნებთ, მიღწეულით ნამდვილად არ დავკმაყოფილდებით.

კომენტარი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანს **ირაკლი ტყებუჩავას** ვთხოვეთ...

— წარმომადგენლობითი და ძლიერი ტურნირი გამოდგა. ფაქტია, რომ ნახევარფინალური შეხვედრის მოსაგებად მზად არ აღმოვჩნდი, გამოცდილი მეტოქე მერგო და დამატებით დროში წავაგე. სამომავლოდ უფრო კარგად მოვემზადები და შედეგსაც მივაღწევ.

**ზურაბ მიგრიაული**

ძიუდო

# ნუცუბიძეს მსოფლიო მისცეს

**იაპონიაში** გამართულ გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართული ძიუდოს ქომაგებისთვის კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდა ახალი კვალიფიკაციის საერთაშორისო რეიტინგული შედეგები, რომლის მიხედვითაც ქართველ მსაჯს ვლადიმერ ნუცუბიძეს მსოფლიო დონის მსაჯის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ქართველი რეფერი იაპონურ ტურნირზეც მსაჯობდა და ტაილანდში გასამართ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც იმსაჯებს. ტაილანდმოვლილი 19 მსაჯიდან 10 საუკეთესო უკვე 2009 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაირჩევა.

ვალოდია ნუცუბიძეს კარგი შანსი აქვს, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ის მეორე ქართველი იქნება ანზორ ქიბროწაშვილის შემდეგ, ვინც ოლიმპიადაზე იმსაჯა.

**ზურაბ მიგრიაული**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე (2008 წლის 31 ოქტომბერი) დასასწრებად ჟურნალისტთა სარეგისტრაციოდ განცხადების მიღება იწარმოებს 20 ოქტომბრამდე.

სეოკ-ის პრეს-სამსახური


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულელიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge